ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული 1999




140
1999
№1-3
85

◆ პრეზიდენტის სტიპენდიატები ◆ რა იქნება მოდაში? ◆ ვუნდერკინდი პოლიტიკოსი ◆ ნაწყვეტები მაიკლ ჯექსონის წიგნიდან ◆ მე რომ 1000 დოლარი მქონდეს ◆ ამოუცნობი მფრინავი ობიექტის ბაზა ◆

საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“
1999 წ. №1
გამოდის 1926 წლიდან

# ნომრის შინაარსი

1. „ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ ..... 1
2. მძიმე გამოცდა ..... 2
3. პრეზიდენტის სტიპენდიატები ..... 3
4. სიტყვა სამეგობროს გამოკლებულ სალომე ქოჩეჩაშვილზე ..... 5
5. მსოფლიო კიდით კიდემდე ..... 6
6. მამაჩემი ბიზნესმენია ..... 7
7. გიორგი და კომპიუტერი ბაბი ..... 7
8. თუ ასეა მოგვწერე... ..... 8
9. რა იქნება მოდაში დამდეგ გაზაფხულზე? ..... 9
10. ვუნდერკინდი პოლიტიკოსი ..... 10
11. ??? ..... 12
12. მე, შენ, ჩვენ (ნაწყვეტი მაიკლ ჯექსონის წიგნიდან) ..... 13
13. მომავალი ჟურნალისტების სკოლა ..... 14
14. 1000 დოლარი რომ მქონდეს ..... 16
15. იზარდე, მწვანე ჯეჯილო... ..... 18
16. რა და რა ჰქვია რას და რას ..... 19
17. რატომ მაინცდამაინც კატის წელიწადი? ..... 20
18. საუბრები პოეზიაზე ..... 22
19. აუდიო+ვიდეო (სიახლეები) ..... 23
20. "ბონსაი" ციცქნა მცენარეს ნიშნავს (ბუნების კარი) ..... 24
21. ადვილად პატიობ თუ არა? (ტესტი) ..... 26
22. "მაგარი" მანქანები (ავტოკალეიდოსკოპი) ..... 27
23. კითხვა — თქვენი, პასუხი — ჩვენი ..... 28
24. სიცილის გაკვეთილი ..... 29
25. ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ბაზა ..... 30
26. ტესტი "ჭკუის კოლოფებისათვის" ..... 32

მთავარი რედაქტორი მანანა გელაშვილი
რედაქტორის მოადგილე ქეთევან ცამაცაძე
პასუხისმგებელი მდივანი არჩილ მექანიშვილი
სამხატვრო რედაქტორი ნოდარ ხუმბაძე

ჟურნალი რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
საიდენტიფიკაციო კოდი: 20498462
რედაქციის მისამართი: 384096, თბილისი, კოსტავას ქ. № 14
ტელეფონი: 93-31-81, 93-18-84
ფასი სახელშეკრულებო.
ინდექსი 76157



# ფაქტი

## „ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო



### შეხვედრა პრეზიდენტთან

ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე შეხვდნენ პრეზიდენტის გრანტებისა და სტიპენდიების მფლობელ ახალგაზრდებსა და ყმაწვილებს. ეს ის გამორჩეულად ნიჭიერი მოზარდები არიან, რომლებიც სახელმწიფოს ხელმძღვანელის 1997 წლის ბრძანებულების შესაბამისად ჯილდოს სახით ყოველთვიურად ღებულობენ გარკვეულ თანხას, რომელმაც მათ შემოქმედებით ზრდას და სრულყოფას უნდა შეუწყოს ხელი. ახალგაზრდა მუსიკოსებმა, მეცნიერებმა, ლიტერატორებმა ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიში ჩააბარეს მაღალ სტუმრებს და აღუთქვეს, რომ მთელ თავის შესაძლებლობებსა და ნიჭს სამშობლოს კეთილდღეობასა და პროგრესს მოახმარენ.

### მესამეკლასელი ძალოსანი

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ათლეტიზმის დარბაზში წყალტუბოს რაიონის სოფელ ტყაჩირის საშუალო სკოლის მესამეკლასელმა დავით ბოჭორიშვილმა 1 საათში 4015-ჯერ ასწია მცირე გირა, ე.წ. ოყა. (1228, 5 გრ), რამაც საერთო ჯამში 932, 427 კგ. შეადგინა. დათოს შედეგმა აღაფრთოვანა ძალოსნობის სპეციალისტები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ გააზრებული და სისტემური ვარჯიშით მას შეუძლია კარგი სპორტსმენი დადგეს. თუმცა ბევრს, და მათ შორის, ექიმებსაც, მიაჩნია, რომ ამ ასაკის ბავშვისათვის ამგვარი დატვირთვა ნაადრევია.

### მოსკოვის მერის საჩუქარი

შობა-ახალ წელს თბილისის № 1 გიმნაზიაში მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის საჩუქრები მიიღეს. სათამაშო კურდღლებში ჩაწყობილი ტკბილეული, პორტფელები და მეგაფონი ძირითადად უმცროსკლასელებისათვის იყო განკუთვნილი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბ-ნი ლუჟკოვი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ამ სასწავლებლის დანგრეული შენობის აღდგენა-განახლებაში, ყურადღებას არ აკლებს მას. ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობის 2600 წლისთავის ზეიმის დღეებში № 1 გიმნაზიას, მოსკოვის მერის თხოვნით, ცნობილი მომღერალი და ბიზნესმენი იოსებ კობზონი ეწვია, რომელმაც აქაურ მოსწავლეებს 3 კომპიუტერი და მუსიკალური ცენტრი აჩუქა.

### დისნეილენდი ფუნიკულიორზე

მალე თბილისის ფუნიკულიორის ზედა პლატოზე დისნეილენდის ტიპის პარკი გაშენდება. ამ საქმეში ინვესტიციების ჩადება მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანებმა ბობ უოლშმა და ტედ ტერნერმა განიზრახეს. მომავალი საბავშვო ქალაქის პროექტი ითვალისწინებს საბაგირო გზის აღდგენას, რკინიგზის სადგურების იერის შეცვლას, კაფე-რესტორნების, სასტუმროების აშენებას, ათასგვარი ატრაქციონის მოწყობას.

### საკვირაო სკოლის კონცერტი

ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში შედგა ქ-ნ ვალენტინა ბალანჩივაძის საკვირაო სკოლის მოსწავლეთა კონცერტი. დამსწრეთ მოისმინეს საუბრები დიდ კომპოზიტორებზე, მერე კი პატარებმა შეასრულეს ქართული "იავნანა", რუსული "მინდვრად არყის ხე იდგა", პერგოლეზის "ოჰ, რად არ ვარ პატარა გუბე", ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის ნაწყვეტი, აგრეთვე კომპოზიტორ სერგო ადამაშვილის ორი მიუზიკლი "ჭრიჭინა და ჭიანჭველა" და "კვარტეტი" (მ. კრილოვის იგავ-არაკის მიხედვით).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# მძიმე გამოცდა

ეს ამბავი დღეს ყველამ იცის საქართველოში — დიდმაც და პატარამაც. ყველა ჩვენგანმა გულისტკივილით აღიქვა ცნობა თურქი ბიჭუნას თარიქ ქარაელის დაღუპვის შესახებ, რაც ასე თუ ისე, ქართველ ბავშვებთან იყო დაკავშირებული. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ამ ამბის არსს.

წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების მიერ თურქეთში რეაბილიტაციის მიზნით მიწვეული აფხაზეთის მკვიდრ ქართველ ბავშვებსა (ისინი ოცნი იყვნენ) და თურქ მოზარდთა ერთ ჯგუფს შორის ფეხბურთის თამაშის დროს მომხდარი ინციდენტის — ჩხუბში გადაზრდილი კინკლაობის შედეგად გულის უკმარისობით დაავადებული 14 წლის თარიქ ქარაელი იმ არეულობაში ცუდად გახდა. თურქი ბიჭუნა სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მას აღარაფერი ეშველა. ეს 20 ივლისს მოხდა. ამ შემთხვევამ საბაბი მისცა გარკვეულ წრეებს "თურქეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური კრიზისის გამწვავების დასაბამი" ეწოდებინა მისთვის. ამას კი, მოგეხსენებათ, შეეძლო ხელი შეეშალა ორ ქვეყანას შორის დამყარებული გარკვეული კეთილი ურთიერთობების განვითარებისთვის.

ქართველი ბავშვების წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით და ექვსი ქართველი მოზარდი სამსუნის საპატიმროს სპეციალურ იზოლიატორში აღმოჩნდა.

თარიქ ქარაელის სამედიცინო გაკვეთის აქტმა ფიზიკური ტრავმის კვალი არ დაადასტურა. ბავშვი თავიდანვე დაავადებული ყოფილა ბრონქული ასთმით, კონფლიქტურ სიტუაციაში სტრესულმა განცდამ გამოიწვია გულის უკმარისობა და სწორედ ეს უკანასკნელი დაფიქსირდა მისი დაღუპვის ძირითად მიზეზად. საქმის გარჩევა გაჭიანურდა.

მომხდარი ფაქტიდან ხუთი თვე იყო გასული, ქართველი ბავშვების ბედი კი ისევ გაურკვეველი რჩებოდა. სასამართლო მეხუთედ გასული წლის 28 დეკემბერს დაინიშნა, მოზარდები გულის ფანცქალით ელოდებოდნენ განაჩენს და სწამდათ, რომ იგი სინათლეს მოჰფენდა სიმართლეს და ოცივე ერთად შეხვდებოდა ახალ წელს ოჯახებში, მაგრამ ექვსიდან სამს — ნიკა კვარაცხელიას, ბესო ჩარკვიანსა და ზაზა შამათავას ბედმა ისევ ლოდინი არგუნა...

მიუხედავად გაწბილებისა, ჩვენმა ბიჭებმა ღირსეულად გაუძლეს მძიმე გამოცდას, ღიმილით დაულოცეს სამ გამართლებულ თანატოლს გზა საქართველოსაკენ, თვითონ კი სულით არ დაცემულან, ყოველ დღე საკანში სამჯერ ლოცვას აგრძელებენ, ვარჯიშობენ, იწაფებიან თურქულ ენაში მუსლიმან მცველებთან და განცვიფრებაში მოჰყავთ ისინი. ერთი წუთითაც არ დაუკარგავთ გათავისუფლების იმედი, რადგან ყველაზე უკეთ თავად იციან, რომ ჭეშმარიტად მართლები არიან და სწამთ — სიმართლემ უნდა იზეიმოს.

ქართულ მხარეს ერთი წუთითაც არ დაუტოვებია ბიჭები უყურადღებოდ, ყველაფერი გაკეთდა საქმის ჯეროვანი წარმართვისათვის. დაველოდოთ, ღმერთმა ქნას, ბიჭების ოცნება მალე ასრულდეს და ოცივემ ერთად საქართველოში იზეიმოს საკუთარი უდანაშაულობა.

იმის დასტურად კი, საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული თქვენი თანატოლები ერთი წუთითაც რომ არ შემდრკალან და ვაჟკაცურად ითმენდნენ ყველაფერს, — გთავაზობთ ერთ-ერთი მათგანის, თექვსმეტი წლის ნიკა კვარაცხელიას მიერ თურქეთიდან გამოგზავნილ ბარათებს.

### სალამი ყველას!

სანერვიულო არაფერია, მართალია, ასეთი რამ მოხდა, მაგრამ ყველაფერი ღვთის წყალობით გამოსწორდება. თქვენს წერილებში საყვედური ამოვიკითხე და მართლებიც ხართ. დიდი ტკივილი მოგაყენეთ, გთხოვთ მაპატიოთ, მე ამ ჭრილობას კარგი საქციელით დაგიამებთ. სასამართლო პროცესზე ნუ ინერვიულებთ, როგორც დაკითხვამ ჩაიარა კარგად, ისე ესეც ჩაივლის და დავბრუნდებით სამშობლოში. ადამიანი ჭკუას შეცდომებზე სწავლობსო, ეს მართალი ყოფილა, ჩვენ ყველა ვამბობთ, — აწი ყოველ ნაბიჯს დაფიქრებულად გადავდგამთო. დედა, ყოველდღე ვლოცულობთ, ღმერთს ვეხვეწებით, დაგვეხმაროს. ყოველი ლოცვის შემდეგ თავს უფრო ძლიერად ვგრძნობ, ნერვები მიწყნარდება და იმედი უფრო და უფრო მემატება. მამიკო! გავიგე, შაქარი გაწუხებს, ძალიან გთხოვ, თავს მიხედე, ნუ ინერვიულებ! დედა, შენი ამბავი რომ ვიცი, ფიქრობდე იქნება, ჩემი შვილი ცუდად არის, ციხეში ზის გაგიჟებულიო. დედა, დამიჯერე, მე კარგად ვარ, მეც კი მიკვირს, რა ნერვები მქონია, და საერთოდ გვქონია, ყველაფერი ეს ასე ადვილად რომ გადავიტანეთ, ალბათ ესეც ღვთის ნებაა. მარიამობა დღეს, საეკლესიო წესები, როგორც შეგვეძლო, ისე აღვასრულეთ, საჭმელ-სასმელი შევაგროვეთ და დღესასწაული ამით აღვნიშნეთ. ბიჭები ყველა ერთმანეთთან კარგად ვართ, ერთმანეთს ვეხმარებით, ვარიგებო, ვამშვიდებთ. მოკლედ, ყველა ერთი პრინციპით ვართ, სადაც ერთი, იქ ყველა...

### სალამი ყველას!

როგორ ხართ, ჩემო საყვარელო მშობლებო. მე კარგად ვარ, არ ვნერვიულობ. პირობები ციხეში კარგია, უფროსობა სულ გვაკითხავს. ახლაც კონსულია ჩვენთან და გვამშვიდებს. ჩვენ არაფრის არ გვეშინია, ყველაფერი მომზადებული გვაქვს, რომ თავი დავიცვათ სასამართლოზე. მართალია, გვენატრებით, მაგრამ მალე ჩამოვალთ და სულ თქვენთან ვიქნებით. დედა, შენ მინდა ერთი რამე გთხოვო, არ ინერვიულო. მამიკო, შენც გამაგრდი, მომავალი წინ არის, მე თქვენ გარჯას დავაფასებ. ნინო, შენმა წერილმა ძალიან დამაიმედა. მეგობრებს გადაეცი, მალე ჩამოვალ. გკოცნით ყველას და დაბრუნების იმედით გემშვიდობებით.

### სალამი ყველას!

გესალმებით 1001 კმ. სიშორიდან, სამსუნის პატარა "გალიიდან". როგორა ხართ, რა ხდება საქართველოში. იმედია, ყველაფერი კარგად არის.

მამა, როგორ ხარ, არ ინერვიულო, აქ ყველაფერი კარგად არის. სამნი უკვე გაუშვეს და სამნიდა დავრჩით კამერაში. ზედამხედველები ისე გვექცევიან, თითქოს დამპატიმრებულები არ ვიყოთ. ჩვენც კარგად ვექცევით, ხილს ვთავაზობთ, ველაპარაკებით თურქულად, როგორც შეგვიძლია, თუ არადა, ხელებით ვუხსნით. ისინი გვეუბნებიან, მალე გაგვინთავისუფლეთ კამერა და საქართველოში წადითო. 3 დღის წინ პროკურორმაც გვინახულა, კარგად მოგვექცა და გვკითხა, თუ რა პრობლემები გვქონდა. მოწინააღმდეგეებს წლების მომატების ხერხიც გაუცრუვდათ. მოკლედ, დიდი იმედი გვაქვს, რომ ახალ წელს სახლში ვიქნებით, თუმცა ყველაფრისთვის მზად ვართ. ყველაფერი კარგად მიდის, ჯანმრთელობაც ხელს მიწყობს, ჯერ თურქეთში ერთი წამალი არ გადამიყლაპია. დროც კარგად გაგვყავს: ვუსმენთ მაგნიტოფონს, ვუყურებთ ფეხბურთს და კალათბურთს.

ნინო, როგორ არის საქმეები, როგორ მიდის ჟურნალისტიკის შესწავლა, მე მგონი, შენ ჟურნალისტად აპირებ ჩემთან შეხვედრას და კითხვების მოყრას. ნინო, როგორ არიან თემური, თამუნა, ჩაპა დეიდა და ყველა ნათესავი, ჩემს მაგივრად ყველას მოკითხვა გადაეცი. თემურის და თამუნას ჩემს მაგივრად აკოცე, გოგოხიების ოჯახიც მომიკითხე და ბაჭიას და დათოს დაგვიანებით ჩემს მაგივრად დაბადების დღე მიულოცე. მე და დედამ დაბადების დღე თურქეთში უნდა გადავიხადოთ. ისე, ციხეში დაბადების დღის გადახდის გამოცდილება გვაქვს, ბესოც აქ გახდა 16 წლის. ნინო, ახალი წლისთვის ჩამოვალთ და სჯობია "უბორკა" გააკეთო, თორემ ხომ იცი დედას ხასიათი. მოსაყოლი ბევრი მაქვს, მაგრამ რომ ჩამოვალ, მერე ვილაპარაკოთ. ახლა კი გემშვიდობებით რამდენიმე დღით. აბა, მაგრად!

10.12.1998

# პრეზიდენტის სტიპენდიატები

## 16 წლის კომპოზიტორი

**ანი ცქვიტინიძე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლეა. მის სიმღერებს ქართული ესტრადის ვარსკვლავები ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, თამარ ჭოხონელიძე, თემურ თათარაშვილი, ეკა კვალიაშვილი, ტრიო „თბილისი", ჯგუფი „ფლეში" ასრულებენ. ანის მიერ სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებზე მიღებულ ჯილდოებსა და წოდებებს კიდევ ერთი შეემატა — 16 წლის კომპოზიტორი პრეზიდენტის სტიპენდიატი გახდა.**

– ხუთი წლის ვიყავი, როცა პირველი სიმღერა "გვირილა" დავწერე. საბავშვო ლექსს ჩემთვის ვღიღინებდი. მერე პიანინოს მივუჯექი და ჩემს ღიღინს რაღაც მელოდია შევუხამე. ოჯახში ყველა უკრავს და მღერის, დედა მუსიკის მასწავლებელია. იმ დროს მე ცნობილ კომპოზიტორთან, რუსუდან სეფისკვერაძესთან სიმღერის გაკვეთილებს ვიღებდი. მაშინ ვერც ალვიქვი, რა მოხდა. დედასაც კი არ გავუმხილე, რომ სიმღერა მოვიგონე.

პირველ კლასში მეორე სიმღერა – "მზე" დავწერე. სკოლაში ლექსი გვასწავლეს. სახლში მისვლისთანავე პიანინოსკენ გავიქეცი. საღამოს კი ჩემი საიდუმლო დედას გავუმხილე და სიმღერა "მზე" მოვასმენინე. დედას ცოტა გაუკვირდა, თუმცა ჩემი კომპოზიტორული დებიუტისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

თავიდან 53-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი (მუსიკალურ გიმნაზიაში მოგვიანებით გადმოვედი), სადაც ქალბატონი მაკა აროშიძე (დღეს პოპულარული საბავშვო დასის "ბასტი-ბუბუს" ხელმძღვანელი) სკოლის გუნდს უძღვებოდა. მე ამ გუნდში ვმღეროდი. ქალბატონმა მაკამ შემამჩნია. სწორედ მისი წყალობით მოხვედი 6 წლის ბავშვი დიდ სცენაზე. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ნუნუ დუდამვილისა და ვაჟა აზარაშვილის სიმღერები შევასრულე.

**— პირველად ვინ შეასრულა შენი სიმღერა?**

– ეკა მამალაძემ. დედაჩემი ქ-ნ ეკას იცნობდა და ჩვენ მას ჯემალ ჩახავას ლექსზე დაწერილი ჩემი სიმღერა "საქართველო" შევთავაზეთ. როგორც ყოველთვის, ეკამ შესანიშნავად იმღერა. 1989 წლის აპრილში ჯანსულ



ჩარკვიანის "რექვიემისათვის" დავწერე მუსიკა. იმ დროს სულ პატრიოტულ სიმღერებს ვწერდი.

**— 7-8 წლის ბავშვის კომპოზიტორობა განსაკუთრებით სერიოზულ, „არაბავშვურ" თემებზე სიმღერების წერა ალბათ, უფროსებში გაკვირვებას, შეიძლება ეჭვსაც იწვევდა.**

– დიახ, უკვირდათ. მაგალითად, ბატონმა ჯანსულ ჩარკვიანმა რომ გაიგო, "რექვიემისთვის" მუსიკა 7 წლის ბავშვმა დაწერაო, არ დაიჯერა. თუმცა მოგვიანებით შესანიშნავი საჩუქარი – თავისი ლექსების კრებული მისახსოვრა.

**— მსგავსი საჩუქრები ალბათ არაერთხელ მიგიღია.**

– დიახ. დიდ პოეტს ანა კალანდაძეს სიმღერა მივუძღვენი. შუშანა მგელაძის ლექსმა "ანაო" ძალიან შეიფერა მუსიკა. როცა სიმღერა ნანი ბრეგვაძის შესრულებით ანა კალანდაძემ მოისმინა, ატირდა. ქალბატონმა ანამაც მისახსოვრა თავისი ლექსების კრებული.

**— მომავალი სიმღერისათვის ჯერ ლექსს არჩევ და მელოდია შემდეგ იბადება?**

– რა ვიცი, სხვადასხვანაირად ხდება. მთავარია ლექსი მღერადი იყოს. ხანდახან მელოდიას ავაწყობ და მისთვის შესაფერის ლექსს ვერ ვპოულობ. ცოტა ხნის წინ შემემთხვა ასეთი რამ: მელოდია დავწერე. ტექსტი კი ვერ მოვუსადაგე. დახმარებისათვის პოეტ ლალი ჭითანავას მივმართე. მელოდია მოვასმენინე და მან ტექსტი დაწერა. მე მგონი, სასიამოვნო სიმღერა გამოვიდა.

**— კომპოზიტორს სიმღერაში გარკვეული გრძნობების გადმოცემა სურს, შემსრულებელს კი სიმღერა სხვანაირად მიაქვს მსმენელამდე. შენ გქონია ასეთი სიტუაცია?**

– არა. როცა სიმღერას ვწერ, უკვე ვიცი რომელი შემსრულებელი მიიტანს მსმენელამდე მას ისე, როგორც მაქვს ჩაფიქრებული.

**— შენ სხვადასხვა, აბსოლუტურად განსხვავებული სტილის მომღერლებთან თანამშრომლობ, შენი სიმღერებიც ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.**

– ალბათ, მცხეთობის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ჰიმნს გულისხმობთ ნუკრი კაპანაძის, ჯაზ-კვარტეტის "3+1" და ჯგუფ "ფლეშის" ორიგინალური შესრულებით ჰიმნი ბევრს მოეწონა. კიდევ მაქვს ერთი ჰიმნი – შარშან ბორჯომში გამართულ ბავშვთა შემოქმედების ფესტივალისთვის დავწერე. ფესტივალს "ბროლის ნაძვი" ჰქვია.

**— განსაკუთრებით ვისთან მოგწონს თანამშრომლობა?**

– ჩვენი ესტრადის მომღერლებთან ნორმალური ურთიერთობები მაქვს. სიამოვნებით ვწერ მათთვის სიმღერებს. ძალიან მომწონს ახალგაზრდა, დამწყებ შემსრულებლებთან თანამშრომლობა. თეონა კირკიტაშვილი, ირინა სოლტიში, აჩიკო ფურცელაძე, თამარ აბზიანიძე ქართული ესტრადის მომავალი ვარსკვლავები არიან. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ისინი ჩემს სიმღერებს მღერიან...

**— პრეზიდენტის სტიპენდია დაგეხმარა რაიმე ჩანაფიქრის შესრულებაში?**

– იმ თანხით, რომელიც უკვე მივიღე, ორი სიმღერა ჩავწერე. ძალიან მინდა ჩემი სიმღერების ალბომი ჩავწერო, მაგრამ ამას პრეზიდენტის სტიპენდია არ ეყოფა. უახლოეს მომავალში მინდა შემოქმედებითი საღამო გავმართო. თუმცა ეს ჯერ მხოლოდ სურვილია...

ესაუბრა
**ნანა მაჭავარიანი**

# პრეზიდენტის სტიპენდიანტები

## იტალიური, ინგლისური, რუსული, გერმანული და...

**ლაშა ჯაფარიძე თბილისის 57-ე საშუალო სკოლის მოსწავლეა. იგი სრულყოფილად ფლობს იტალიურ, ინგლისურ, რუსულ, გერმანულ ენებს. 1997 წელს თბილისში ჩამოსულმა იტალიის სახელმწიფო დელეგაციამ 14 წლის ლაშა პროფესიული თარჯიმნობისათვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა. ლაშას, როგორც თარჯიმნის, პროფესიონალიზმი პრეზიდენტის ფონდის „დემოკრატია და აღორძინების“ უცხოელმა სტუმრებმაც არაერთხელ აღიარეს. ლაშა ჯაფარიძეს საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდია დაენიშნა.**

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ლაშამ ტელევიზიით გაიგო, რომ ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიებისა და გრანტების მოსაპოვებლად 14-დან 25 წლამდე ახალგაზრდებისათვის კონკურსი გამოაცხადა. სტიპენდიებისა და გრანტების მოპოვების პრეტენდენტებს ჟიურისათვის წერილობით უნდა მოეთხროთ საკუთარი წარმატებების შესახებ მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში, სპორტსა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში. კონკურსანტებმა ჟიურის მასწავლებელ-პედაგოგებისა და საქმიანი პარტნიორების მიერ გაცემული დახასიათებები, სხვადასხვა კონკურსებზე, ფესტივალებსა და ოლიმპიადებზე მოპოვებული ჯილდოები წარუდგინეს. ჟიურისათვის წარსადგენი დახასიათებები ლაშას კლასის დამრიგებელმა ზაირა ღლონტმა, სკოლის დირექტორმა ჟუჟუნა მუმლაძემ, იტალიური ფირმის პრეზიდენტმა ჯან კარლო ნოვერომ და იტალიის ქალაქ რიეტის უნივერსიტეტის პროფესორმა ბეატრიჩე რატიმ მისცეს. ვერაფერს იტყვი — მართლაც სოლიდური და სანდო რეკომენდატორები არიან.

ლაშა ჯაფარიძე იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც ხვალ-ზეგ საქართველო უნდა ჩააბაროს და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში დაუმკვიდროს მას ადგილი. ხოლო იმათ, ვისი ძალისხმევითაც უნდა მოხდეს ეს, ყველაფერთან ერთად სასურველია უცხო ენებიც იცოდნენ. შვილის მომავალზე ფიქრით მიაბარეს მშობლებმა ექვსი წლის ლაშა ინგლისურის მასწავლებელს. ბიჭმა თავიდანვე აუღო ალღო ენას, ადვილად იმახსოვრებდა სიტყვებსა და გამოთქმებს, სასაუბრო ენაც მალე გაიტეხა. რვა წლის იყო ლაშა, როცა მამა იტალიაში, კუნძულ სიცილიაზე მიავლინეს რამდენიმე კვირით. მამამ უცხო ქვეყნიდან ისეთი საინტერესო და ლამაზი სუვენირები და ფოტოები ჩამოიტანა, რომ ბიჭს იტალია შეუყვარდა და გადაწყვიტა, იტალიურ ენასაც დაუფლებოდა. ლექსიკონი და თვითმასწავლებელი შეიძინა და დამოუკიდებლად დაიწყო იტალიური ენის შესწავლა. უფროსებს ცოტა არ იყოს ეჭვი ეპარებოდათ, რომ დამოუკიდებლად შეძლებდა უცხო ენის დაძლევას. მცირე ხნის შემდეგ მშობლებმა ლაშას ცოდნის შესამოწმებლად იტალიური ენის მასწავლებელი მოიწვიეს. ლაშამ ყველა გააოცა და ამ გამოცდის შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ მას მართლაც სერიოზულად აინტერესებს და უყვარს იტალია და იტალიური ენა. მერე ის დროც დადგა, როცა მშობლების ხელშეწყობით ლაშამ ოცნება აიხდინა — ტურისტული საგზურით იტალიაში ჩავიდა.



— ყველაზე მეტად ღამის რომი მომეწონა — ამბობს ლაშა — დღისით ქალაქში ისეთი ხალხმრავლობაა, რომ ბევრს ვერას აღიქვამ. ღამით რომი სულ სხვაგვარია. ვერც კი გეტყვით, ყველაზე მეტად რამ მოახდინა ჩემზე შთაბეჭდილება. შადრევნები, ტაძრები, სასახლეები — რომში ყველაფერი ისეთი დიდებული იყო!

ვენეციაში დოჟების სასახლე, სან-მარკოს მოედანი, რიალტოსა და სოსპირის ხიდები ვინახულე. სოსპირის ხიდს საინტერესო ისტორია ჰქონია. ეს ხიდი შუა საუკუნეებში სასამართლოსა და ციხის შენობებს აკავშირებდა. სასამართლოში დამნაშავეს განაჩენს რომ გამოუტანდნენ, სოსპირის ხიდით მირდაპირ ციხეში გადაჰყავდათ. საპატიმროში მიმავალი მსჯავრდებულები, ხშირად ხიდიდან წყალში ხტებოდნენ და სასჯელს თავს აღწევდნენ. ამის გამო ვენეციის ხელისუფლებამ სოსპირის ხიდი საგრძნობლად აამაღლა. დამნაშავეებს ისღა დარჩენოდათ ციხეში მოეხადათ სასჯელი — ამაღლებული ხიდიდან გადახტომას ვერავინ ბედავდა.

ადრიატიკის ზღვისპირა ქალაქ რიმინში მუზეუმი "იტალია მინიატურებში" ვნახე. ამ მუზეუმში სხვადასხვა კუთხეებისთვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო ნივთები, კოსტიუმები და მუსიკალური საკრავებია გამოფენილი...

თუ საყვარელ ქვეყანაში პირველი მოგზაურობა ტურისტული იყო, მეორე ვიზიტი საქმიანი გამოდგა. ლაშა, როგორც თარჯიმანი ხშირად დაჰყვებოდა ხოლმე საქართველოს ახალგაზრდული საფეხბურთო ნაკრების კონსულტანტს, იტალიელ რობერტო ლანდის, საწვრთნელ ვარჯიშებზე. გასულ ზაფხულს ახალგაზრდული ნაკრები იტალიაში მიიწვიეს. თარჯიმნობას კი მათ ლაშა ჯაფარიძე უწევდა. 10 დღეში ფეხბურთელებთან ერთად იტალიის 4 ქალაქი მოიარა. ბიჭებმა ქალაქ გუბიოს სტადიონზე საწვრთნელი ვარჯიშები გაიარეს და ამით ძალიან ამაყობდნენ: სწორედ ამ სტადიონზე ვარჯიშობდა 1990 წელს ბრაზილიის ნაკრები, რომელიც ამ წვრთნიდან რამდენიმე დღის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ჩვენმა გუნდმა ამხანაგური შეხვედრები გამართა რიმინისა და კატოლიკას გუნდებთან. ქალაქ ავეცენოში დიდ საქველმოქმედო კონცერტს დაესწრნენ.

16 წლის ლაშა ჯაფარიძის მომავალი ცხოვრება-საქმიანობის მთავარი კონტურები ახლავე გამოისახა. დღეს შეძენილი ცოდნა, შინ თუ გარეთ გაგონილ-ნანახი მტკიცე საფუძვლად დაედება ხვალინდელ დღეს. მომავალ წელს იგი სკოლას ამთავრებს და ალბათ ნიჭისა და უკვე შეძენილი ცოდნის, მისთვის დამახასიათებელი მიზანსწრაფულობის წყალობით პროფესიის არჩევა არ გაუჭირდება. ხოლო თუ იმასაც დავძენთ, რომ ამჟამად ლაშა გერმანულ ენას ეუფლება, ნათქვამში ეჭვი აღარავის უნდა შეეპაროს. ენების ცოდნა კი მას უთუოდ გამოადგება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტზე სწავლისას, სადაც იგი მომავალ წელს აპირებს გამოცდების ჩაბარებას. უფრო შორეული გეგმა სწავლის იტალიაში გაგრძელებას ითვალისწინებს. ასე რომ ლაშა კიდევ უფრო დაუახლოვდება თავის საყვარელ ქვეყანას.

**ნანა მახაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვა სამეგობროს გამოკლებულ სალომე ქოჩეჩაშვილზე



1998 წლის 20 იანვარს, საღამოს ცხრა საათზე, მეტროს სადგურ "ნაძალადევის" წინ მანქანამ იმსხვერპლა თბილისის მე-9 საშუალო სკოლის მერვეკლასელი სალომე ქოჩეჩაშვილი, რომელიც ბებიასთან ერთად ბრუნდებოდა შინ. მძღოლი შემთხვევის ადგილიდან ისე გაიპარა, რომ ვერავინ შეამჩნია, როგორ გაიკვლია გზა ამდენ გაჩერებულ მანქანებში. მანამდე კი იგი კარგა ხანს იდგა დაბნეული თავის მანქანასთან და ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს, როგორც ჩანს, თავის გადარჩენის ინსტინქტმა სძლია და გაუძართლა კიდეც – მკვლელის ვინაობა ჯერაც დაუდგენელია.

ჩვენ კი, მე-9 სკოლის მე-9 ბ კლასელებს, კვლავ არ გვასვენებს კითხვები: როგორ ცხოვრობს მშვიდად სალომეს მკვლელი? ნუთუ, სინდისი არ აწუხებს? ნუთუ, რადგან არ გამოუაშკარავებიათ, თავს ბედნიერად გრძნობს?

სალომე ჩვენ შორის აღარაა, თუმცა, ჩვენ ერთი წუთითაც არ გვავიწყდება ჩვენი მშვენიერი ამხანაგი, თითქმის ყველას გვესიზმრება სალი, მერხზე მის ნაცვლად მუდამ ყვავილია. ახლაც გვერდით გვეგულება, ახალ წელსაც მასთან ერთად შევხვდით...

**თბილისის მე-9 საშუალო სკოლის მე-9ბ კლასის მოსწავლეები**

***

თოვდა. ფანტელები ქუჩებს თეთრ საბანში ხვევდა. ჩვენ კლასში ვისხედით და მასწავლებელს ველოდით. ამ დროს შემოაღო კარი სალომემ და გაბრაზებულმა მოგვმართა: თოვლი დღეს პირველად მოვიდა და ჩვენ კლასში უნდა ვისხდეთ? ყველანი წამოგვეყარა. გარეთ გავცვივდით და 112-ე სკოლის სტადიონზე წავედით. გუნდაობით გული ვიჯერეთ, ბევრიც ვიმხიარულეთ...

ასე გავატარეთ ის ჩვენი შატალო. რა დაგვავიწყებს იმ დღეს! სალი მუდამ ჩვენთან არის, ახლაც ჩვენ გვერდით დგას და შემდეგი შატალოსათვის ემზადება...

როგორ მენატრები, სალი. როგორ მინდა შენი ნახვა და შენთან ყოფნა... ნეტავ შეიძლებოდეს, ისევ ერთად ვიყოთ, ძველებურად ვიმხიარულოთ და გავერთოთ.

ნეტავ, ის დრო დაბრუნდებოდეს! სალი, შენ მუდამ ჩვენთან ხარ, რადგან არავის დაგვავიწყდები, მუდამ შენს ხსენებაში ვიქნებით. ბევრს ვილოცებთ, რომ ისევ დაგვიბრუნოთ.

შორენა ბერიაშვილი

***

კლასის ფანჯრიდან როცა ვიხედები, ერთ ყველასაგან განსხვავებულ ხეს ვამჩნევ. ის გამორჩეულად ლამაზია, ასეთი იყავი შენც, ჩემო სალი, არავის არ ჰგავდი, კლასში შემოსვლისთანავე ყველას ყურადღებას იპყრობდი, ყველა შენ გამჩნევდა და გეუბნებოდა: თმები შეიკარი, ასე ნუ გაცვია! აკი იძახდი კიდეც, რას გადამეკიდნენ, ჩემს მეტს ვერავის ხედავენო?! ახლა კი პირიქითაა – შენ ყველას გვხედავ, ჩვენ კი ვერ გამჩნევთ. იცოდე, ჩვენ არავის მივცემთ იმის უფლებას, რომ შენზე თქვან, აღარ არსებობსო. რადგან ვერ გხედავთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღარ ხარ. შენ ყოველთვის ხარ და იქნები ჩვენს გულებში.

ნონა კირაკოზოვა

***

ჩემო სალი! შენზე ამბობენ, გარდაიცვალაო, მაგრამ მე ასე მგონია, რომ შენ ანგელოზად იქეცი. შენი დანახვა შეუძლებელია, მაგრამ არა უშავს, შენ ხომ გვხედავ, ჩვენთან ერთად ზიხარ გაკვეთილზე, ჩვენთან ერთად გიხარია ყველაფერი და ჩვენთან ერთად წუხარ...

გწამდეს, ჩვენ არასდროს დაგვავიწყდები, არ დაგვავიწყდება შენი მხიარული სახე, შენი სიცილი.

შორენა გვიმრაძე

***

მე-9 საშუალო სკოლაში მეექვსე კლასში გადავედი. პირველ დღეს უცხო ბავშვებთან ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს. ეს უხერხულობა სალომემ დამაძლევინა, იგი ჩემთან მოვიდა, გამეცნო და საუბარი დამიწყო. იმ დღიდან დავმეგობრდით.

ზაფხული იდგა. ბოლო გაკვეთილი დამთავრდა, მაგრამ წასვლას არ ვჩქარობდით, ვსაუბრობდით. უცებ სალომემ წამოიყვირა: რა მოწყენილები ვართ, მოდი ვიმხიარულოთ, პურ-მარილი ჩემზე იყოსო. სახლში წავიდა და ცოტა ხანში დაპირებული ნამცხვარი, კამფეტები, ფანტა და მაგნიტოფონი მოიტანა. პატარა სახელდახელო სუფრა გაშალა და ყველა მიგვიწვია. ძალიან ვისიამოვნეთ, გულით ვიმხიარულეთ. სალომეს წყალობით ის დღე ყველას სამუდამოდ დაგვამახსოვრდა.

ერთხელ სალი გამომიტყდა, რომ შეყვარებული იყო, იმ ბიჭის სახელი კი არ გამიმხილავნა, სამუდამოდ გულში დაიტოვა.

თამარ სამშვილდელიძე

***

გათენდა დილა. წავედი სკოლაში: მე და სალომე არ ვლაპარაკობდით. სკოლის



შემდეგ მათემატიკის წრის მეცადინეობაზე წავედი. სალომეც დადიოდა ამ წრეში. რომ მივედი, სალომე იქ იყო. როგორ შევრიგდით, არ მახსოვს, დავიწყეთ ლაპარაკი. სალომემ მითხრა, ძალიან მიხარია, რომ შევურიგდით და ატირდა: "მიყვარხარ, ნინო, ძალიან მიყვარხარ, შენისთანა დაქალი არ მყავს, მოდი, არასოდეს აღარ გავებუტოთ ერთმანეთს". მეც დავეთანხმე, – რა გატირებს, მეც მიხარია რომ შევრიგდით-მეთქი – ვუთხარი. მერე სალომესთან წავედით, ბევრი ვიცინეთ, ტელეფონზე ვშაყირობდით, კარტით ვიმკითხავეთ წიგნის მიხედვით: ორივეს გვეხაროდა ერთად ყოფნა. ასე დამთავრდა ეს დღე. როცა სახლში მივედი, დავწექი და დავიწყე ფიქრი, მართლაც ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და ამიტომაც ალბათ, მეტი სიყვარულისგან ვჩხუბობდით ხშირად.

სალომე არაჩვეულებრივი გოგო იყო. კეთილი, მხიარული, ჭკვიანი. ამიტომაც ყველას უყვარდა, დიდსა თუ პატარას. ასეთი იყო ჩემი მეგობარი და ასეთი დარჩება ჩემს გულში.

ნინო მელქოშვილი

***

სალკა, ახლაც არ ვიცი, ეს უბედურება თავს როგორ დაგატყდა. სიზმარი მგონია, თურმე, რა ძნელი ყოფილა შენი დაკარგვა.

20 იანვარს საღამოს შენთან ვიყავი წიგნის სათხოვნელად, მაგრამ სახლში არ დამხვდი, გავბრაზდი...

21 იანვარი როცა გათენდა, სკოლაში გახარებული მოვდიოდი, ვიფიქრე, დავუძახებ და ერთად წავალთ-მეთქი. ნინო მელქოშვილი დავინახე, შენი დაქალი, იმ პერიოდში თქვენ გაბუტულები იყავით, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ შერიგება გინდოდათ, ნინო მწარედ ტიროდა. შენი ამბავი რომ გავიგე, გავშეშდი. წარმოვიდგინე, როგორ იწექი შუა გზაზე უგონოდ... ალბათ მხოლოდ დედას უხმობდი...

იმ მძღოლს ვაჟკაცობაც არ ეყო, რომ საავადმყოფოში წაეყვანე, ნეტავი, როგორ დაიძინა იმ ღამეს...

არ დაგცალდა, ვერ აისრულე ნატვრა იურისტი გამხდარიყავი. ვაი, რომ სხვაც ბევრი ოცნება დაგრჩა აუხდენელი, ჩვენო სალკა!..

ნინო მამუკაძე

# მსოფლიო კიდით კიდემდე

## აშშ

### თოჯინები ორსულობის წინააღმდეგ




არასრულწლოვანთა ორსულობის შემთხვევათა კატასტროფული ზრდით შეშფოთებულმა ამერიკელებმა მეტად ორიგინალური რამ მოიფიქრეს. ერთ-ერთი კალიფორნიული ფირმის მიერ დამზადებული პროგრამული მართვის ელექტრონულ თოჯინა-ჩვილთან ურთიერთობამ ბევრ გოგონას გადააფიქრებინა დედ-მამობანას თამაში. სიმპათიური, ცხვირაბზეკილი, ნამძინარევ-თვალებიანი თოჯინა-რობოტები მუშაობის ისეთ რეჟიმზე არიან დაპროგრამებულნი, რომელიც ჩვილის მოვლას შეესაბამება. ყოველ ორ საათში პლასტიკური ჩვილი უმიზეზო ტირილს იწყებს და მის დასაწყნარებლად ნორჩი "დედა" და "მამა" დამე თბილი ლოგინიდან უნდა აღგნენ. დღე კი ყველაფერი უნდა მიატოვონ და ნახევარი საათი მაინც უალერსონ "შვილს". 30 წუთზე ნაკლებ დროში "ბაიას" დაწყნარება მაშინ მოხერხდება, თუ "მშობლებს" მთელი ეს ხანი ხელი თოჯინის ზურგზე მოთავსებულ სპეციალურ მოწყობილობაზე ექნებათ დაჭერილი. ამ მოწყობილობის ასამოქმედებლად სპეციალური გასაღებია საჭირო, ხოლო თუ გასაღები არ მოიძებნა და მოწყობილობა სპეციალურ რეჟიმში არ ჩაირთო, თოჯინა ბატარეების დაჯდომამდე იღნავლებს.

თოჯინის ეფექტმა მოსალოდნელს გადააჭარბა. სოციოლოგიური გამოკითხვით დადგინდა, რომ აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში "ნორჩი მშობლები" გაჭირვებით უძლებდნენ მშობლების როლთან შეგუებისთვის დაწესებულ ვადას. იმ მილიონნახევარი მოზარდიდან, რომლებმაც საკუთარ ტყავზე გამოსცადეს "მშობლის გოლგოთა", თითქმის ყველამ ერთხმად თქვა უარი ნაადრევ დედ-მამობაზე, პარალელურად ქვეყნის მოსწავლე ახალგაზრდობას შორის მკვეთრად გაიზარდა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენების მსურველთა რიცხვი.

## ჰოლანდია

### ემი რიუკასლი — პოდიუმის ამომავალი ვარსკვლავი

შოტლანდიელი ემი რიუკასლი ჯერ არასრულწლოვანია, მაგრამ უკვე დიდ წარმატებებს აღწევს პოდიუმზე. ნორჩი მოდელი ბრწყინვალედ გამოვიდა მილანში გამართულ მოდების დემონსტრაციაზე. პროფესიონალები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ ემის, რომელსაც იმის იმედიც აქვს, რომ მისი წარმატება ხელს შეუწყობს დედამისისა და მამამისის შერიგებას. პოდიუმის ამომავალი ვარსკვლავის მამა, პოპმუსიკის სამყაროში ცნობილი მეღოლე მაიკ ოგლტრი მაშინ გაეყარა ცოლს, როცა მათი გოგონა სამი წლის იყო. ემი რიუკასლმა თხოვნით მიმართა მშობლებს: "შერიგდით და ისევ მეგობრები გახდით, რათა ჩემთან ერთად გაიხაროთ ჩემი წარმატებებით".





## დიდი ბრიტანეთი

### ფულადი ჯარიმა ზარმაცებისთვის

დიდ ბრიტანეთში 1996 წელს მიღებულ აქტში განათლების შესახებ ნათქვამია, რომ 5-დან 16 წლამდე ასაკის ყველა ბავშვი ვალდებულია ისწავლოს სკოლაში ან განსაკუთრებულ შემთხვევაში, სახლში. სასწავლებელს შვილებისათვის მშობლები ირჩევენ. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ბავშვი რაიმე მიზეზით სწავლაზე უარს იტყვის, მას დიდი უსიამოვნებები ელის, რომელთა შორის ჯარიმაცაა. დიახ, სწავლა-განათლების მოწინააღმდეგე გოგო-ბიჭებმა ჯარიმის სახით 1 ათასი გირვანქა უნდა გადაიხადონ.

## კვიპროსი

### ბავშვთა უფლებების დასაცავად

გაიმართა ბავშვთა უფლებების დაცვის დეკლარაციის მიღების 10 წლისთავთან დაკავშირებული ორდღიანი კონფერენცია, რომელშიც 700-ზე მეტმა დელეგატმა მიიღო მონაწილეობა. კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ექსპლუატაციისგან, პროსტიტუციაში ჩათრევისგან, განათლების უფლების შელახვისაგან ბავშვთა დაცვისათვის რადიკალური ღონისძიებების განხორციელებას.

## რუსეთი

### კოსმონავტის ქალიშვილი კოსმონავტობას აპირებს

კოსმონავტ იური გლაზკოვის 15 წლის ქალიშვილი კატია ორბიტაზე გასაფრენად ემზადება. კატიას დედაც — ლუბოვ ნემკოვა ცნობილი მფრინავია, ისე რომ, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ გოგონამ ჯერ კიდევ სამი წლის წინ გადაწყვიტა მშობლების კვალს გაჰყოლოდა. 14 წლის იყო კატია, როცა პირველად გადმოხტა პარაშუტით, ორჯერ იყო აშშ-ში, ჯონსონის საერთაშორისო კოსმიურ ცენტრში, სადაც ერთი თვე ისმენდა "შატლით" ფრენის სპეციფიკას, ცხრაჯერ გაიარა უწონადობის ვარჯიშების კურსი, სრულყოფილად აითვისა "სოიუზის" ტრენაჟერები. მომავალ კოსმონავტს ინსტრუქტორის თანდასწრებით "იაკ-52"-ით პილოტაჟის რთული ფიგურებიც გამოჰყავს და წყალქვეშ ცურვაშიც ინტენსიურად ვარჯიშობს, ინგლისურ ენასაც ძირფესვიანად ეუფლება.

თუმცა, კოსმონავტთა რაზმში მოსახვედრად კატია გლაზკოვამ ჯერ საშუალო სკოლა უნდა დაამთავროს, მერე — უმაღლესი სასწავლებელი, სულ ბოლოს კი — 2 წელი კოსმონავტთა მომზადების ცენტრში უნდა დაჰყოს.

## ერეკლე ქევხიშვილი:

# მამაჩემი ბიზნესმენია



მამაჩემი მუშაობს საინფორმაციო ბანკში 005 და მე ვამაყობ, რომ მამა ბიზნესმენია, ვამაყობ იმიტომ რომ ის ძალიან ძლიერია თავის საქმეში, იცის როგორ უნდა მიაღწიოს მიზანს. ამას ბევრი ვერ ახერხებს და მაშასადამე, ვერც კარგი ბიზნესმენი ხდება. მეც მინდა მამას გზას გავყვე, იმ გაგებით, რომ რასაც დავეუფლები, იმ საქმეში ძლიერი უნდა ვიყო. საერთოდ, არა მგონია, ნამდვილი ბიზნესმენი გავხდე, შეიძლება ვერ შევისწავლო ის, რაც ბიზნესმენობას ეხება და რაც მამაჩემმა კარგად იცის. ახლავე ვხვდები, რომ საქმეში წაგებას ვერ გადავიტან, იმიტომ რომ პირველობა ძალიან მიყვარს, ვცდილობ ყველაფერში გამოვიჩინო თავი. გადაწყვეტილი მაქვს ექიმი გავხდე, ოღონდ ნამდვილი, კარგი ექიმი, ამით ხალხს უფრო დავეხმარები...

თუმცა, როგორც ვთქვი, ბიზნესმენობას არ ვაპირებ, მაგრამ ბიზნესთან დაკავშირებულ რაღაც-რაღაცებში მაინც ვერკვევი. მაგალითად, ვიცი რა არის წაგება-მოგება, კონკურენცია... მამა ხშირად ლაპარაკობს სახლში თავის საქმეზე, სხვა ბიზნესმენებზე, იმაზე თუ როგორ მუშაობენ, როგორ უწევენ კონკურენციას სხვებს. მართალია, ამას ყველაფერს მამაჩემი უშუალოდ მე არ მიყვება, მაგრამ მე ყოველთვის საგულდაგულოდ ვუსმენ ხოლმე მის ლაპარაკს. მაინტერესებს თუნდაც იმიტომ რომ ძალიან მომწონს მისი საქმე. ალბათ გაგიკვირდებათ — თუ მამას საქმე ასე მოგწონს, ექიმობა რატომღა აირჩიეო? ჯერ-ერთი ექიმს უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვს, ავადმყოფებს უმკურნალებს, ოპერაციებს გააკეთებს, სახლში ადრე მიდის და გასართობად და დასასვენებლად რჩება დრო. ბიზნესმენები კი სულ დარბიან, სულ დაკავებულები არიან, სულ ქაღალდებში იქექებიან, სულ მუშაობენ, დასვენების საშუალება არა აქვთ. გარდა ამისა, კიდევ იმიტომ ვერ შევძლებ ბიზნესმენობას, რომ მათემატიკა არ მიყვარს, ბიზნესში კი მთავარი ანგარიში ყოფილა. მამიკომ და ჩემმა ძმამაც ასე მითხრეს, თუ თანდაყოლილი ნიჭი არა გაქვს, ნამდვილი ბიზნესმენი ვერასოდეს ვერ გახდებიო. მე კი ვატყობ, რომ ასეთი ნიჭი არა მაქვს...

მე სხვა ბიზნესმენებსაც ვიცნობ, მამაჩემის ამხანაგებს. მამას სამსახურში ხშირად დავდივარ ხოლმე კომპიუტერებზე სათამაშოდ. კომპიუტერი სახლშიც გვაქვს, მაგრამ იქ უფრო საინტერესო ტელევიზორიანი კომპიუტერები აქვთ. ძალიან მომწონს, რომ მამაჩემს და მის მეგობრებს რაღაც წვლილი შეაქვთ გაჭირვებულთა დასახმარებლად, თუმცა მე რომ მათ ადგილას ვიყო, უფრო მეტად დავეხმარებოდი უპატრონო ბავშვებს, ლტოლვილებს და ხელგაწვდილ მოხუცებს. გარდა ამისა, ყველა ბავშვს ოცნებას ავუსრულებდი — ვუყიდიდი ათასნაირ სათამაშოს, გემრიელ ტკბილეულს და აუცილებლად ავუშენებდი ნანატრ "დისნეილენდს".

---



# გიორგი და კომპიუტერი ბაბი

**გიორგი ფირანაშვილი:** ვარ 8 წლის, ვსწავლობ ვანის ილია ჭავჭავაძის სახელობის №1 საშუალო სკოლის მე-2 კლასში. ძალიან მიყვარს ქართული სიმღერები და ცეკვები, კარატე, სათამაშოები. მინდა კარგი პოლიციელი გამოვიდე და ყველა პატარა ბავშვი დავიცვა. ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა, სათამაშოებიდან ყველაზე ძალიან ჩემი კომპიუტერი მიყვარს, სახელიც კი დავარქვი — ბაბი.

ირგვლივ თითქმის ყველას ჰქონდა სათამაშო კომპიუტერი, პატარა გიორგისაც ათამაშებდნენ, მაგრამ ხან სინათლე ქრებოდა, ხან თამაშით გატაცებული უფროსები ვეღარ ელეოდნენ კომპიუტერს და... ბიჭს კი ერთი სული ჰქონდა, როდის მოვიდოდა მისი რიგი, რადგან სხვებზე უმცროსი იყო, ხშირად იჩაგრებოდა — პატარა ხარ, შენ რა იცი ამის თამაშიო. ასეთ შემთხვევებში გაწბილებული ბრუნდებოდა ხოლმე შინ. მშობლები აწყნარებდნენ, ნუ იტირებ, ცოტაც მოითმინე და ვეცდებით შენც გიყიდოთ კომპიუტერიო. დაბადების დღეზე მამამ მართლაც მოუტანა სანუკვარი სათამაშო. ო, რა გაიხარა გიორგიმ! თვითონაც ხომ გული იჯერა და ყველა თავისი თანატოლიც ასიამოვნა. რა თქმა უნდა, პირველად ბექა ათამაშა, უპირველესი ძმაკაცი. ყოველდღე თამაშობდნენ, მაგრამ დედამ დაარწმუნა, კომპიუტერთან დიდხანს ჯდომა მავნებელია, თვალებს გატკენსო. მერე, რომ შეატყვეს, რომ კომპიუტერის გამო გაკვეთილები აღარ ახსენდებოდა, მშობლებმა მკაცრად დაუწესეს — "ჯერ ისწავლე და მერე ითამაშეო" და გიორგიც ცდილობდა, მალე შეესრულებინა საშინაო დავალებები. ისე რომ კომპიუტერმა, თუ შეიძლება ითქვას, ერთგვარი მასტიმულირებელი როლიც შეასრულა.

კასეტებით მამა ამარაგებს. იცის, რა სახის თამაშები მოსწონს და მისი ინტერესების მიხედვით ურჩევს. როგორც ყველა ბიჭს, გიორგისაც უფრო ის თამაშები უყვარს, სადაც ჩხუბი, ბრძოლა, ფეხბურთია. ერთი შეხედვით ამგვარი კომპიუტერული თამაშები იმის საშიშროებასაც შეიცავს, რომ ბავშვის თვალი და გონება ძალადობას ეჩვევა, ქვეცნობიერად სისასტიკესაც სწავლობს. მაგრამ აქ მშობლებმა უნდა იმოქმედონ ფხიზლად და სწორად. უნდა აუხსნან პატარებს, რომ ეს მხოლოდ თამაშია და გონების, რეაქციის გასავარჯიშებლად, კომპიუტერული ტექნიკის ანაბანას ასათვისებლად არის გამიზნული. გიორგის დედ-მამას ეს არ ეშლება და სწორედ ამის შედეგია, რომ ბიჭი უწყინარი, მხიარული სიუჟეტების თამაშებითაც სიამოვნებით ერთობა. თუმცა ქვეყანაში შექმნილი ენერგეტიკული კრიზისი მაინცდამაინც არც კომპიუტერთან ჯდომას აცლის, და არც ტელევიზორში მულტიპლიკაციური ფილმების ყურებას.

**თამარ ტატიძე**

# ...თუ ასეა მოგვწერე

### "რა ვუყო ნაოჭებს შუბლზე"?

იქნებ თქვენ მირჩიოთ როგორ მოვიქცე — მე ჯერ მხოლოდ 13 წლის ვარ, შუბლზე კი უკვე ნაოჭე-ბი გამიჩნდა. დედაჩემს და ბები-აჩემსაც კი ჩემზე გადატკეცილი შუბლი აქვთ, მე კი სარკეში რომ ვიყურები, გული მისკდება. რა ვქნა, არ ვიცი.

**ანა მ.**



ანა, ნაოჭებს, რომლებსაც ასე შეუშ-ფოთებიხარ, მიმიკურს ეძახიან, ხოლო მათი გაჩენის მიზეზი შენშივეა, შენს მიმიკაშია — ეჭვი არ არის, რომ შუბლს ძალიან ხშირად იჭმუხნი. ამ ძალზე მავნებელ ჩვევას რომ გადაეჩვიო, გირჩევთ შუბლსაკრავი გაიკეთო. აიღე ქაღალდის (კალკის, თხელი პერგამენ-ტის — რათა შუბლის კანს მჭიდროდ მიეკრას) ზოლი, რომლის სიგანე წარ-ბებიდან თმის ძირებამდე უნდა იყოს. უხვად წაუსვი ზედ მკვებავი კრემი და შუბლზე მიიდე (მანამდე კი ნაოჭები ხელით გაისწორე). ქაღალდი ბინტით ან ბაფთით დაიმაგრე. თავიდან შუბლ-საკრავი 15-20 წუთი გაიჩერე, მერე კი უფრო მეტი ხნით. ასეთი შუბლსაკრავი შუბლის შეჭმუხვნის საშუალებას აღარ მოგცემს და კუნთებიც ნელ-ნელა შეეჩვევა მშვიდ მდგომარეობას. საკრავს რომ მოიხსნი, მაინც ისეთი შეგრძნება გექნება, თითქოს ისევ გიკე-თიაო და შუბლს ვეღარ შეიჭმუხნი.

### "როგორ მოვიმატო სიმაღლეში"?

ერთი გოგო მომწონს, მგონი, მიყვარს კიდეც. მაგრამ ვერ ვბე-დავ რომ ვუთხრა, იმიტომ რომ მასზე დაბალი ვარ და მეშინია არ დამცინოს. მშობლები მამშ-ვიდებენ, ჯერ პატარა ხარ, გაიზრდებიო, მაგრამ მე მაინც მეშინია. იქნებ არსებობს რაიმე საშუალება რომელიც ხელს უწყ-ობს ზრდას.

**ნიკა, 14 წლის.**

ზრდის პრობლემა ბევრ შენს თანა-ტოლ ბიჭს აწუხებს, გვინდა ყველანი დაგამშვიდოთ — გარკვეულ პერიოდ-ში, 13-14 წლის ასაკში, გოგონები უსწ-რებენ ბიჭებს სიმაღლეში, მერე კი პირიქით ხდება. მაგრამ რაკი ძალზე შეწუხებული ჩანხარ, რამდენიმე რჩე-ვას მოგცემთ, ჯერ-ერთი სისტემატურად ივარჯიშე, ჩამოეკიდე ძელძს, რგო-



ლებს, იხტუნე, ეცალე ხტომისას კედე-ლზე რაღაც ნიშნულს მისწვდე. არსე-ბობს აპრობირებული ხალხური საშუ-ალებაც — 5 კგ. ჭარხალი უნდა გაიხეხ-ოს, დაესხას 5 ლ. წყალი. მიღებული მასა მანამ უნდა ადუღო სანამ 1 ლიტრამდე არ დავა, მერე კი ყოველ დილით უზ-მოზე 50 გრამი უნდა ჰიიღო 50 გრამ ცხელ რძესთან ერთად. საერთოდ კი, გვინდა დაგარწმუნოთ, რომ თუ სხ-ვამხრივ კარგი ბიჭი ხარ, ტანმორჩილ-ობის გამო შენმა რჩეულმა არ უნდა დაგიწუნოს.

### "აღარ მიყვარს და რა ვქნა?"

მე და დათო (სახელი მოგ-ონილია) კარგა ხანია დავდივართ, მაგრამ ახლახან მივხვდი, რომ აღარ მიყვარს ის. რამდენჯერმე უარი ვუთხარი შეხვედრაზე, ხან რა მოვიმიზეზე, ხან რა, მაგრამ არ მეშვება, მე კი სიმართლეს ვერ ვეუბნები, მეცოდება. დამარიგეთ, როგორ მოვიქცე.

**ნინო, 16 წლის.**

ნუღარ გადადებ, გამოუტყდი და-თოს. როგორი მტკივნეულიც უნდა იყოს, მან სიმართლე უნდა იცოდეს. უარესი იქნება, თუ შენ იმის გამო, რომ გეცოდება, მასთან სიარულს გააგრ-ძელებ. ადრე თუ გვიან, სათქმელის თქმა მაინც შენ მოგიწევს. გვერწმუნე, ის, რაც შენ დაგემართა, საესებით ბუნე-ბრივია და თუმცა შენს მეგობარს გული ეტკინება, მაგრამ საბოლოო ჯამში ისიც მიხვდება, რომ თავის მოტყუებას სიმა-რთლის ცოდნა ჯობია.

### " არ მომწონს ჩემი "კარე"

თავიდან გრძელი თმა მქონდა, შარშან კი კლასელების რჩევით შევიჭერი და ახლა მოკლე „კარე" მაქვს. მაგრამ რაღაცნაირად არ მომწონს, ვნანობ კიდეც, რატომ შევიჭერი-მეთქი. შეიძლება თუ არა ჩემს „კარეს" რამე ეშველოს?

**თეა ს.**



ტყუილად იწუნებ შენს ვარცხნილო-ბას, "კარე" ძალიანაც მოდური და ახ-ალგაზრდულია. სხვა ამბავია, თუ არ გიხდება. ხოლო თუ სადად დავარცხნი-ლი თმა მაინც გაღიზიანებს, იქნებ სცა-დო და ე.წ. "ჩოლკა" გაიკეთო, თმა მსხ-ვილად დაიხვიო, მერე კი ოდნავ აიჩე-ჩო და ერთგვარად აიფუმფულო.

# რა იქნება მოდაში დამდეგ გაზაფხულზე?

მოზარდი გოგონებისთვის კვლავაც მოდური იქნება სხვადასხვა ფერის როლინგსტონები ჯინსზე ან ტოტებგანიერ ზოლიან შარვალზე. მთავარია, ფერთა გამა შეარჩიოთ სწორად.



* * *

ვარდისფერი შარვალი. მუქი შინდისფერი ხალვათი პიჯაკი, ასეთივე ფერის კეპი, მაღალპლატფორმიანი ფეხსაცმელი, ხალისიანი განწყობილება და შენ ყველაზე მოდური იქნები.



* * *

მკვეთრი ფერების ზოლიანი სვიტერი, ერთ-ერთი ზოლის შესატყვისი ფერის მოკლე ქვედატანი, მუქი ბერეტი, ასეთივე გეტრები და მაღალპლატფორმიანი ფეხსაცმელი — ნახე, როგორ გაგალამაზოს ასეთმა ჩაცმა-დახურვამ.

* * *

მჭიდროდ მომდგარი სილუეტის სვიტერი და სპორტული თარგის მინი ქვედატანი ძალიან მოხერხებულია სკოლაში ან კოლეჯში ჩასაცმელად.








# ვუნდერკინდი პოლიტიკოსი

... 1998 წლის აპრილი. ახალგაზრდა ლიდერთა მეცხრე საერთაშორისო კონფერენცია. ტრიბუნაზე კრეიგ კილბერჯერი ადის. ის მხოლოდ ხუთი წუთი ლაპარაკობს სიჩუმეში. მერე კი ლამის ყოველ მეოთხე-მეხუთე წინადადებაზე აპლოდისმენტებით აწყვეტინებენ სიტყვას. "მე სულ მეკითხებიან, — თქვა კრეიგმა, — სხვა ბავშვებს რატომ იცავო? შენ ხომ თვითონაც ბავშვი ხარ. განა ეს ბავშვის საქმეაო? მე კი პასუხად ვეკითხები: განა ცინიზმი არ არის, ბავშვის საქმე უწოდო იმას, რასაც მე ვაკეთებ-მეთქი?"

1995 წლის აპრილი. კრეიგი 12 წლისაა. მანამდე ბიჭი მხოლოდ თავისი მშობლებისთვის წარმოადგენდა რაღაც განსაკუთრებულს. სხვებისთვის იგი უბრალოდ ერთი მოველილი ტორნსჰილელი ბიჭი იყო ტორონტოს ბურჟუაზიული გარეუბნიდან, რომელსაც გატაცებით უყვარდა ფეხბურთი. მაგრამ აპრილის იმ დღეს მისი ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა. ყოველ დილით საუზმისას კრეიგი გაფაციცებით ეძებდა ხოლმე გაზეთ "ტორონტო სტარის" ფურცლებზე კომიქსებს. ერთხელაც შემთხვევით კომიქსის გვერდით დაბეჭდილი მასალაც წაიკითხა პატარა პაკისტანელი ბიჭის შესახებ. ოთხი წლის იკბალ მაზიჰი გაჭირვებულ მშობლებს ხალიჩების ფაბრიკის მფლობელისთვის მიუყიდიათ 30 მარკად. ექვსი წელი იჯდა ეს ბიჭუნა სხვა ბავშვებთან მიბმული ქვის იატაკზე და კვირაში ექვს დღეს 12-12 საათი ქსოვდა ხალიჩებს. გასამრჯელოდ კი ამ მონურ შრომაში დღეში ექვს ფანინგს ღებულობდა. ათი წლის რომ შესრულებულა, იკბალს გაქცევა მოუხერხებია, ორი წელი უხეტიალია უპატრონოდ, დადიოდა და ყველას უყვებოდა პაკისტანში ბავშვთა შრომის არაადამიანური პირობების შესახებ. ყოჩაღ ბიჭს გამბედაობისთვის საზოგადოებრივი ჯილდოებით ამკობდნენ. მერე კი... მერე იკბალ მაზიჰი მოკლეს...

მაშინ იკბალი 12 წლის იყო, ისევე, როგორც კრეიგ კილბერჯერი, როცა მან თავისი პაკისტანელი თანატოლის შესახებ წაიკითხა. "იმ დღეს პირველად დავუფიქრდი ჩემს ცხოვრებას. რა გვაქვს საერთო მე და იკბალს ასაკის გარდა?"

კრეიგმა ბევრს მიაღწია. იგი მიიღეს რომის პაპმა და ინგლისის დედოფალმა, დედა ტერეზამ და დალაი-ლამამ. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ალბერტ მორმა შინ დაპატიჟა იგი. კრეიგი კანადის საგარეო საქმეთა სამინისტროს თავისებური მრჩეველი გახდა. ერთ-ერთმა კანადურმა ჟურნალმა ქვეყნის 20 ყველაზე ავტორიტეტულ ადამიანს შორის დაასახელა იგი. ტელეკომპანია სი-ენ-ენმა ერთსაათიანი ინტერვიუ ჩამოართვა ბიჭს. კრეიგი სიტყვით გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სესიაზე, ამერიკის სკოლის მასწავლებელთა კონგრესზე, გაეროსთან აკრედიტებული უცხოელ კორესპონდენტების წინაშე.

ათიათასობით ბავშვი და მოზარდი მთელ მსოფლიოში — კანადაში, შვედეთში, ახალ ზელანდიაში, ბრაზილიაში, სინგაპურში, ინდოეთში, იტალიაში, საფრანგეთში, აშშ-ში, ავსტრალიასა და გერმანიაში — მონაწილეობს იმ ორგანიზაციის მუშაობაში, რომელიც კრეიგმა დააფუძნა. მას ეწოდება "თავისუფლება ბავშვებს მთელ მსოფლიოში".

მინეაპოლისის საკონფერენციო დარბაზში შეკრებილნი მხოლოდ კრეიგის სიტყვებმა კი არ შეძრა, მათზე მისმა ჰარიზმამ, ორატორულმა ნიჭმაც იმოქმედა. კრეიგ კილბერჯერმა მარტო იმით კი არ მიიქცია საყოველთაო ყურადღება, რომ მინეაპოლისში გამომსვლელთა შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო, არამედ იმითაც, რომ იგი იყო ერთადერთი, ვინც წინასწარ მომზადებული ტექსტის გარეშე გამოვიდა.

"ხშირად მეკითხებიან, — ამბობს კანადელი მოსწავლე, — რამდენად კარგად მესმის იმ ბავშვების მდგომარეობა, რომლებსაც ექსპლუატაციას უწევენ. ბოლოს და ბოლოს, ამ გოგო-ბიჭების მშობლები მათ მიერ ნაშოვნ ფულზე არიან დამოკიდებული. მე ვპასუხობ: ინდოეთში უმძიმეს პირობებში მუშაობს 20 მილიონი ბავშვი, ამასთან ზუსტად ამდენივე უფროს ადამიანს სამუშაო არა აქვს. რატომ ამჯობინებენ ფაბრიკანტები ბავშვების დაქირავებას? იმიტომ, რომ მათი შრომა უფრო იაფია, რადგანაც ისინი პროფკავშირებად არ არიან ჩამოყალიბებულები.

და კიდევ იმ მიზეზით, რომ ეს ბავშვები წერა-კითხვის უცოდინარნი არიან და ამის გამო საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლაში იშვიათად იჩენენ აქტიურობას. პაკისტანი, მაგალითად, ბიუჯეტის 80 პროცენტს იარაღს ახმარს, სკოლების დაფინანსებას კი მხოლოდ ერთ პროცენტს. ჩვენი ამოცანაა, შევცვალოთ საქმის ასეთი ვითარება.

საზოგადოებრივი მოღვაწეობა კრეიგმა თავისთან, ბაღში გამართული "ბაზრით" დაიწყო. რამდენიმე მისმა თანაკლასელმა შინიდან მათთვის უმაქნისად ქცეული ნივთები მოიტანა გასაყიდად. "ბაზარზე" ნაშოვნი პირველი დოლარები კრეიგმა ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბროშურების დაბეჭდვას მოანდომა, ბიჭი არც თანასკოლელებს ასვენებდა, არც მათ მშობლებსა და მასწავლებლებს, ფულს აგროვებდა და როცა გარკვეულ თანხას მოუყარა თავი, შექმნა ჯგუფი "თავისუფლება ბავშვებს". "ჩვენ მივხვდით, რომ შეგვიძლია ზეგავლენა ვიქონიოთ იმაზე, რაც მსოფლიოში ხდება, — ამბობს კრეიგი. — ჩვენ შეგვიძლია ვწეროთ წერილები, შევაგროვოთ ხელმოწერები და ფული, შევიტანოთ პეტიციები, აგიტაცია გავწიოთ, აგრეთვე უარი ვთქვათ ბავშვების შრომის გამოყენებით დამზადებული ნივთების ყიდვაზე".

1996 წლის იანვარი, კრეიგი 13 წლისაა. მან განაცხადა, რომ აზიაში უნდა წასვლა, რათა დარწმუნდეს, რომ იქ მართლა უწევენ ექსპლუატაციას ბავშვებს. შეშფოთებულმა მშობლებმა, რომლებიც მეტროშიც კი ძლივს უშვებდნენ ბიჭს მარტოს, ვერაფრით ვერ გადაათქმევინეს და როცა ვერაფერი აწამეს. კრეიგს თან ყოვლად სანდო 25 წლის ახალგაზრდა კაცი გააყოლეს. კრეიგმა არ იცოდა, რომ სწორედ იმ დროს პაკისტანსა და ინდოეთს კანადის პრემიერ-მინისტრი ჟან კრეტიენი უნდა სწვეოდა, რომელსაც ამ ქვეყნებში კანადური ფირმებისთვის ახალი შეკვეთები უნდა უზრუნველეყო. ინდოეთში ყოფნისას კრეიგმა პრემიერს მისი მიღება სთხოვა, მაგრამ კრეტიენმა შეუთვალა, მოუცლელობის გამო ვერ მიგიღებო.

მაშინ ბიჭმა კანადის დელეგაციის თანმხლებ რეპორტიორებს მიმართა და ჟურნალისტები ორ ინდოელ ბიჭუნასთან მიიყვანა, რომლებიც პიროტექნიკის მწარმოებელი საწარმოდან დაიხსნა. ბავშვებმა ჟურნალისტებს უამბეს იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობდნენ და შრომობდნენ. კრეიგმა კი დასძინა: "სწორედ ამაზე არ მოინდომა ჩვენმა პრემიერმა ჩემთან ლაპარაკი". მეორე დღეს კანადის გაზეთები სავსე იყო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდოელი ბავშვების ბედისადმი მიძღვნილი მასალებით. მათ კრეიგ კილბერჯერის გამონათქვამებიც დაბეჭდეს. აჩქარად პრემიერ-მინისტრმა მოიცალა და ისლამაბადში შეხვდა ბიჭს. "თავიდან პრემიერი საკმაოდ ფრთხილობდა", — იხსენებს კრეიგი. მაგრამ აზიაში მოგზაურობის დასასრულ კრეტიენი დარწმუნდა, რომ ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა ყველგან და ყოველთვის. ოფიციალურ ვახშამზე პაკისტანში ერთ-ერთმა კანადელმა დეპუტატმა დაიჩივლა: "საქმიანი ვიზიტი ბავშვთა შრომაზე ლაპარაკისთვის შეუფერებელი დროა". კრეტიენი კი შეესიტყვა "ამ საკითხის განსახილველად შეუფერებელი დრო არ არსებობს". მაშინ ყველა, გარდა ხსენებული დეპუტატისა, ფეხზე წამოდგა და პრემიერ-მინისტრს ამ სიტყვებისთვის მადლობა მოახსენა.

## "მე" კი არა, არამედ "ჩვენ"

ორი წლის შემდეგ გამოვიდა კანონი, რომლის მიხედვითაც "მესამე სამყაროში" ბავშვებზე სექსუალურ ძალადობაში დამნაშავე კანადელები შეიძლება სამშობლოში იქნან დასჯილნი. ბავშვთა შრომის ლიკვიდაციის საერთაშორისო პროგრამისთვის კანადამ სახელმწიფო სახსრებიდან 800 ათასი მარკა გამოყო. ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო სათავეში ჩაუდგა მოძრაობას, რომელმაც წამოაყენა მოთხოვნა — კანადაში შემოსულიყო მხოლოდ ისეთი ხალიჩები, რომლებზედაც აღნიშნული იქნებოდა "წარმოებულია ბავშვთა შრომის გამოუყენებლად". ტორონტოს ხელისუფლებამ აკრძალა ოფიციალურ დღესასწაულებზე ბავშვების მიერ დამზადებული პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენება: "ამას მე კი არ მივაღწიე, — მოკრძალებით აცხადებს კრეიგი, — არამედ ჩვენ ყველამ, გოგო-ბიჭებმა ორგანიზაციიდან "თავისუფლება ბავშვებს".

კანადაში თითო-ოროლა სკოლაში თუა დაშვებული გაკვეთილების გაცდენა. მაგრამ მერი უორდის სახელობის სკოლა, რომელშიც კრეიგ კილბერჯერი სწავლობს, არ სთხოვს მოსწავლეებს გაკვეთილებზე აუცილებელ დასწრებას. მისი 800 მოსწავლე დამოუკიდებლად მუშაობს და ყოველ სამ თვეში აბარებს გამოცდებს. მიუხედავად მთელ დედამიწაზე ხშირი მოგზაურობისა, კრეიგს გაკვეთილების მხოლოდ ერთი მეათედი აქვს გაცდენილი. იგი ჩავიდა კუნძულ ჰაიტიზე, რათა იქაური უპატრონო ბავშვების ცხოვრებას გასცნობოდა, იყო მაროკოში, რათა საფეიქრო სახელოსნოებში მომუშავე ბავშვებს გასცნობოდა. ბრაზილიაში კრეიგმა შაქრის ლერწმის პლანტაციაში ყველაზე მსხვილი სატელევიზიო კომპანიის ოპერატორები წაიყვანა თან. ამის შედეგად მაყურებელმა უშუალოდ ბავშვებისგან შეიტყო, როგორ პირობებში უხდებოდათ მათ მუშაობა.

ბევრმა შეიძლება გაიკვირვოს, როგორ ახერხებს პატარა ბიჭი ამდენს? სხვებს ჰგონიათ, რომ ყოველივე ამის უკან რაღაც იმალება, რომ კრეიგი კილბერჯერი უნებლიედ მშობლების ოცნების აღმსრულებლად იქცა. მაგრამ, კრეიგის მშობლები ირწმუნებიან, პოლიტიკით არასდროს ვყოფილვართ დაინტერესებულებით.

კრეიგი ხუთი წლით უფროს ძმასთან ერთად შეძლებული კანადელი ოჯახის ბავშვებისთვის ჩვეულ გარემოში იზრდებოდა, სახლში საცურაო აუზითა და ჩოგბურთის მოედნით. მამამისი ამბობს: "შეიძლება ჩემ შვილში ყველაზე უჩვეულო ის არის, რომ ის სავსებით ნორმალური ბავშვია, რომელსაც ფეხბურთის თამაშიც უყვარს და კომპიუტერთან ჯდომაც. მაგრამ მას ყოველთვის უჩვეულოდ ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა. თუ რაიმე ჩაიფიქრა, ვერაფერი გააჩერებს".

კრეიგი არც სუსტი, ფერმკრთალი სათვალიანი ჭკუის კოლოფია და არც მეტიჩარა. მას სასიამოვნო, ინტელიგენტური სახე, ცისფერი თვალები და ქერა თმა აქვს. ის არც პატივმოყვარეა და არც ცინიკური. მას კარგი მანერები აქვს და იუმორის გრძნობას მხოლოდ მაშინ კარგავს, როცა ბავშვთა შრომაზე ლაპარაკობს.

როცა თავის მუშაობაზე ლაპარაკობს, კრეიგი არასდროს ამბობს "მე", არამედ ყოველთვის — "ჩვენ". კითხვაზე მისი მიზნების შესახებ კი ასე პასუხობს: "ჩვენ გვინდა ყველა ბავშვს, რომლებსაც ექსპლუატაციას უწევენ, სკოლაში სიარულის საშუალება მივცეთ. იმიტომ, რომ ცოდნა ძალაა. ვისაც ცოდნა გააჩნია, იმას თავის დაცვა შეუძლია; ვინც მეტი იცის, იმას ორგანიზება შეუძლია".

ჟურნალისტები ისე ესევიან, როგორც პოპ-ვარსკვლავს. წელიწადნახევრის წინ ბოსტონში კრეიგმა ოთხ სხვა საზოგადო მოღვაწესთან ერთად ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლის პრემია მიიღო.

ვინ გახდება კრეიგ კილბერჯერი? ნობელის პრემიის ლაურეატი? მთავრობის მეთაური? თვითონ ამბობს, რომ ექიმობა უნდა და უნდა გახდეს წევრი მოძრაობისა "ექიმები საზღვრებს გარეშე" და უფრო მეტი სარგებლობა მოუტანოს ადამიანებს.

"ჰაიატ რეჯენსი ოტელის" საკონფერენციო დარბაზში ორი ათასი მაყურებელი აღფრთოვანებული უკრავს ტაშს და ტრიბუნიდან არ უშვებს კრეიგს. კრეიგის გამოსვლის დრო იწურება. "თავისუფლება ბავშვებს — ფულის საკითხი კი არ არის, არამედ ნების",— ამბობს იგი. აპლოდისმენტები.

"როცა უფროსები აცხადებენ: თქვენ თვითონვე ჯერ ისევ ბავშვები ხართო, გულისხმობენ: თქვენ ხომ მხოლოდ ბავშვები ხართო. მაგრამ ნარკოტიკებით მოვაჭრენი, რომლებიც შხამს აჩვევენ ბავშვებს, მამაკაცები, რომლებიც სექსუალური მიზნებისთვის ყიდულობენ ბავშვებს, არ ფიქრობენ: მოდი, მოვეშვათ მათ, ისინი ხომ მხოლოდ ბაშვები არიანო". საყოველთაო მოწონება.

"მე მაქვს თვალები, მე კითხვა შემიძლია. სხვებსაც შეუძლიათ. განა იქბალ მაზიჰის ბედზე თვალი უნდა დავხუჭოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ჯერჯერობით 14 ან 15 წლისა ვართ?!" აპლოდისმენტები. "იმ დღეს, როცა იქბალ მაზიჰი მოჰკლეს, ათასობით სხვა იქბალი დაიბადა!" ზოგიერთს თვალზე ცრემლი მოადგა.

"და ამიტომ, მე გთხოვთ: დაგვეხმარეთ ამ ბავშვების გათავისუფლებაში". ოვაცია.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ???

„... თუკი დასაშვებია უძველესი ჯიშის მსგავსი, თითქმის გადაშენებული პრჟევალსკის ცხენის აღდგენა, რატომ არ შეიძლება კაცმა ჯუჯა ცხენების გამოყვანა სცადოს, ისეთებისა, რომლებიც ცხენების მთელი მოდგმის შორეული წინაპრის ეოგიპუსის სიმაღლისა იქნებიან, მილიონობით წლის წინათ რომ ცხოვრობდა დედამიწაზე?" — ერთხელ აკვიატებული ეს ფიქრი დიდხანს არ ასვენებდა არგენტინელ ჯულიო სეზარ ფალაბელას. ბოლოს მან გაბედა და ექსპერიმენტი წამოიწყო. თხუთმეტი წლის მუშაობის შედეგად ფალაბელამ მიიღო ჯუჯა ცხენი, რომელიც მარტო ზომებით ჰგავს თავის უშორეს წინაპარს, სხვა მხრივ კი დღევანდელი ჩვეულებრივი ცხენის მინიატურული ასლია. შემდგომში შერჩევის გზით ფალაბელამ ჯუჯა ცხენების ხაზის გამოყვანაც შეძლო. მისი ყველაზე პატარა ცხენი სულ რაღაც 12 კილოგრამსა და 490 გრამს იწონის, სიმაღლით კი 38 სანტიმეტრია. საგულისხმოა, რომ ჯუჯა ცხენები ამტანები არიან, არც ავადმყოფობენ, და არც განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებენ.



# მე, შენ, ჩვენ...

**მაიკლ ჯექსონი ისეთივე მწერალია, როგორიც მომღერალი**

მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობისა და მოზარდების კერპის მაიკლ ჯექსონის წიგნმა „ancing the Dream“ გამოსვლისთანავე უდიდესი აღიარება და პოპულარობა მოიპოვა. მას სულმოუთქმელად კითხულობენ არა მხოლოდ მომღერლის ფანატიკოსი თაყვანისმცემლები, არამედ სხვებიც, ვინც აფასებს ორიგინალურ აზროვნებას, გონიერებას, გულწრფელობას. გთავაზობთ ორ პატარა ნაწყვეტს როკვარსკვლავის წიგნიდან.



### ჩვენ

მე ვთქვი, შენ ეს უნდა გააკეთომეთქი. შენ მითხარი, არ მინდაო. ჩვენ ამაზე ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ ალბათ მე შემეძლო დაგხმარებოდი.



მე გითხარი, სწორი არა ხარ-მეთქი. შენ გინდოდა შენი გაგეტანა, მართალი ვარო, — ამბობდი.

ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩავკიდეთ, და მართლობაც გაქრა და უმართლობაც.

მე ავტირდი. შენც ატირდი. ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ და ჩვენ შორის მშვიდობის ყვავილი ამოვიდა.

როგორ მიყვარს ეს საიდუმლო, **ჩვენ** რომ ჰქვია! ეს თითქოს ჰაერიდან მოდის. მე ვიფიქრე ამ საიდუმლოზე და რაღაცას მივხვდი: **ჩვენ**, ალბათ, სიყვარულის საყვარელი შვილია, იმიტომ რომ ვიდრე მე შენკენ არ გამოვიწევ, ჩვენ არ ვარსებობთ. იგი სინაზის ფრთებზე მოფრინავს; იგი ჩვენი უხმო გაგების მეშვეობით ლაპარაკობს. როცა მე საკუთარ თავს დავცინი, იგი იღიმება. როცა მე შენ გპატიობ, იგი აღტაცებული ცეკვავს.

**ჩვენ** — ეს მხოლოდ ის არ არის, როცა მე და შენ ერთად ყოფნა გვინდა. **ჩვენ** გვაერთიანებს, ჩვენს ძალას აძლიერებს; იგი ხელს აშველებს ჩვენს ტვირთს, როცა მე და შენ მზად ვართ დავარდნის საშუალება მივცეთ მას. სიმართლე ის არის, რომ მე და შენ დიდი ხანია დავნებდებოდით, მაგრამ **ჩვენ** არ მოგვცემს ნებას. იგი დიდბრძენია. "საკუთარ გულში ჩაიხედე, — ამბობს იგი. — რას ხედავ? შენ და მე კი არა, არამედ მხოლოდ **ჩვენ**".

### გაბედულება

საინტერესოა, რისთვის არის საჭირო გაბედულება, და რისთვის არა. როცა ათასობით ადამიანის წინაშე სცენაზე გამოვდივარ, არ მეჩვენება, რომ მაინცდამაინც გაბედული ვარ. გაცილებით მეტი გაბედულებაა საჭირო იმისათვის, რათა ნამდვილი გრძნობები ერთი ადამიანის წინაშე გამოხატო. როცა გაბედულებაზე ვფიქრობ, ლაჩარ ლომზე ვფიქრობ "ოზის ჯადოსნური ქვეყნიდან". ის ყოველთვის გაურბოდა საფრთხეს. ხშირად ტიროდა და შიშისგან კანკალებდა. მაგრამ ის თავის გრძნობებს უზიარებდა იმათ, ვინც უყვარდა, მაშინაც კი როცა მაინცდამაინც თავმოსაწონებელ გრძნობებს არ განიცდიდა.

თუ გაბედულება მართლაცდა რამისათვის არის საჭირო, ეს რამე საკუთარ თავთან გულწრფელობაა. საკუთარი გრძნობების გამოხატვა იგივე არ არის, რაც ვინმესთვის გულის გადახსნა — ეს სიმართლის გულით აღქმას ნიშნავს. როცა საკმაოდ გაბედული ხარ იმისათვის, რათა საკუთარ თავთან გულწრფელი იყო, შენ იცი ვინცა ხარ, და შეგიძლია ამის დანახვის საშუალე-



ბა მისცე სხვებს. ეს საშიშია, იმიტომ რომ თავს ისე მოწყვლადად, გახსნილად გრძნობ, გეშინია არ უარგყონ. მაგრამ საკუთარი თავის მიღების გარეშე სხვა გაბედულება, კინოგმირთა გაბედულება, ფუჭი ჩანს. რისკის მიუხედავად, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი პატიოსნება და გულწრფელობა საკუთარი თავის აღმოჩენის გზას გვიხსნის. ეს კი იმას გვთავაზობს, რაც ყველას გვწადია, — სიყვარულის აღქმას.

# მომავალ ჟურნალისტთა სკოლა

## ინტერვიუ

**ინტერვიუ (ინგლ. interview) — პუბლიცისტიკის ჟანრი, ჟურნალისტის საუბარი ერთ ან რამდენიმე პირთან საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამა თუ იმ აქტუალურ საკითხებზე.**

### ნორვეგიელ სტუმარს ჩვენი უნიღბო სახეები მოეწონა

ნორვეგია ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელთა შესახებ ჩვენ ძალზე ცოტა რამ ვიცით. მე, მაგალითად, მარტო ის ვიცი, რომ ამ სახელმწიფოს ჰყავს მეფე-დედოფალი, პრინცი და პრინცესა და რომ მისი დედაქალაქია ოსლო. ამიტომაც სულ არ გამკვირვებია, როცა გავიგე, რომ ნორვეგიაში კიდევ უფრო ნაკლები იციან საქართველოს შესახებ. მე ეს ჩვენში სტუმრად მყოფი ნორვეგიელი ჟურნალისტისა და ფერმწერის თორ ერლინგ ოუნმისგან შევიტყვე. ცოტა ხნის წინ, შემთხვევით აღმოვჩნდი ოჯახში, რომელიც მას მასპინძლობდა და რადგანაც ძალიან მაინტერესებდა, როგორ ცხოვრობენ ჩემი იქაური თანატოლები, გავბედე და სტუმარს რამდენიმე კითხვა დავუსვი.

**— ჩემთვის და ჩემი თანატოლებისათვის საინტერესო იქნებოდა, გაგვეგო, როგორი სკოლებია ნორვეგიაში?**

— ჩვენთან სკოლა ათწლიანია. დაწყებით კლასებში სწავლა და სასკოლო ნივთები უფასოა, ხოლო როგორც კი ცამეტი წლის შესრულდებიან, მოსწავლეები ყველაფრის ფულს იხდიან.

**— რა მეთოდით ფასდება ბავშვების ცოდნა?**

— ჩვენ არ გვაქვს ციფრები — ორიანი, სამიანი და ა.შ. ცოდნა ფასდება სიტყვებით — ძალიან კარგი, კარგი, დამაკმაყოფილებელი და ცუდი.

**— აქვთ თუ არა ნორვეგიელ მოსწავლეებს არდადეგები?**

— არდადეგები მათ წელიწადში ოთხჯერ აქვთ — საშემოდგომო, საშობაო, სააღდგომო და საზაფხულო.

**— სკოლის დამთავრების შემდეგ რომელ სასწავლებლებში აბარებენ ხოლმე ნორვეგიელი თინეიჯერები?**

— ზოგი სხვადასხვა ინსტიტუტებში აბარებს, ზოგი კი საერთოდ არსად. მეც და მრავალ ჩემს თანამემამულეს მიგვაჩნია, რომ მათთვის უპირველეს ყოვლისა მთავარია დღევანდელ რთულ ცხოვრებას გაუგონ და აღლო აუღონ მას.

**— თავისუფალ დროს რითი ერთობიან?**

— ნორვეგიელ თინეიჯერებს, როგორც მსოფლიოს ყველა ბავშვს, წიგნის კითხვასა და მეცადინეობას ათასჯერ ურჩევნიათ ტელევიზორის ყურება (იცინის).

**— რას იტყვით ჩვენი ქვეყნისა და ხალხის შესახებ?**

— ყველაზე ძალიან ადამიანები მომეწონა. მათი უნიღბო სახეები, დაუმალავი ემოციები...

მინდა საქართველოს, ქართველ ხალხს, ქართველ ბავშვებს ვუსურვო ყოველივე კარგი, ბედნიერი და ნათელი მომავალი. ადე! (ნახვამდის!).

**მარი ბეთლემიძე,**
**თბილისის 24-ე საშუალო სკოლის VIII³ კლასის მოსწავლე.**

## ინფორმაცია

**ინფორმაცია — ცნობათა ერთობლიობა საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების აქტუალური ახალი ამბების შესახებ. ინფორმაცია ვრცელდება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით (პრესა, რადიო, ტელევიზია და სხვა). ინფორმაციის ფორმებია: ცნობა, ქრონიკა, რეპორტაჟი, ინტერვიუ, ანგარიში, მიმოხილვა.**

### საახალწლო ზეიმზე

420-მა ბავშვმა გაატარა რამდენიმე დაუვიწყარი საათი საქართველოს ინვალიდ მეომართა საზოგადოება "დემეტრე თავდადებულის" მიერ მოწყობილ დიდებულ საახალწლო ზეიმზე. ნაირფრად გაჩახჩახებული ნაძვის ხე, კეთილი თოვლის პაპა (ომის ინვალიდი რევაზ არქანია), მშვენიერი საჩუქრები, გულუხვად გაღებული ნუგბარი, — ყოველივე ეს საზოგადოებამ ომში დაღუპულთა და დაინვალიდებულთა შვილებს უძღვნა.

პატარებმა მართლაც რომ გული იჯერეს საყვარელი ლექსების კითხვით, თამაშით, ცეკვა-სიმღერით, ხუმრობით. უფროსები მაშინაც კი შეეცადნენ სევდა არ გაერიათ საახალწლო ზეიმისთვის, როცა აქ თავმოყრილი გოგო-ბიჭების გმირულად დაღუპული მამები გაიხსენეს. საზოგადოება "დემეტრე თავდადებულის" თავმჯდომარემ, ომის ინვალიდმა ჯემალ არქანიამ ამ ვაჟკაცების სამშობლოსთვის თავგანწირვის ეპიზოდებზე უამბო დამსწრეთ. დაღუპულთა ოჯახის წევრები კი ცრემლიან თვალს ადევნებდნენ თავიანთი შვილების ნაშიერთ, რომლებსაც ჯერ ვერ გაეცნობიერებიათ ომის სიმკაცრე და ლაღად, ხელი-ხელ ჩაკიდებული ცეკვავდნენ ნაძვის ხის გარშემო.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ამ ზეიმზე ნატო და ვალიკო ქვრივიძეებმა, ნინო და მაია გიორგაძეებმა, თამუნა უბირიამ, სულიკო და გელით იმხიარულეს ირაკლი ბარომაშვილმა, ნატო და ეკა კუციებმა, ელენე მებუკემ, ნინო და გიორგი ქსოვრელებმა, ანრი მიქელაძემ, ელენე და სალომე კასრაძეებმა, მარი კველიშვილმა, ციური ირემაშვილმა, ნათია ჩოხელმა, მარიამ გრიგოლაშვილმა, ეთერ გიგაურმა, ირაკლი წვერიკმაზაშვილმა, რეზო არქანიამ და სხვებმა.

**ნინო კვარაცხელია,**
**მაიკო ჯანგულაშვილი,**
**173-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები**

# თუ ძალიან გინდა — აუცილებლად მიაღწევ!

ეროვნული ბიბლიოთეკა




ჩვენ გარშემო თითქმის მუდმივად ისმის მუსიკა. ახლად დაბადებულებს დედა სიმღერით გვამშვიდებს, გვეფერება და გვაძინებს. უკვე მოზრდილები ვუსმენთ საყვარელ მელოდიებს, მოწიწებით შევყურებთ მათ, ვინც ბუნებამ იმ საოცარი უნარით დააჯილდოვა, რომელსაც მუსიკალურ სმენას უწოდებენ და საოცრად განვიცდით, თუ იმათ რიცხვში აღმოვჩნდით, ვისაც ერთხელ და სამუდამოდ სასტიკი განაჩენი გამოუტანეს — სმენა არა გაქვს, გაჩუმდით!




ეს გაუსაძლისი, სავალდებულო სიჩუმე თითქოს საბოლოოდ გვმიჯნავს მათგან, ვისაც განგებამ უწყალობა უფლება იმღეროს, დაუკრას, გამოხატოს საკუთარი თავი მუსიკით.



მაგრამ, აღმოჩნდა, რომ გამოსავალი არსებობს, რომ არიან ადამიანები, ვისაც მტკიცედ სჯერა — ქვეყნად არ მოიძებნება ბავშვი, რომელიც "უსმენოლ" სახელდებას იმსახურებს. მუსიკა ყოველ ჩვენგანში ჟღერს, მხოლოდ უნდა გამოჩნდეს ის, ვინც ამ უნარის გამჟღავნებაში დაგვეხმარება — ხანგრძლივი შრომით შეძლებს ჩვენს ამღერებას.





თბილისში მუშაობს ასეთი სტუდია. მას მუსიკალურ უნართა ინტენსიური განვითარების სტუდია ეწოდება და მისი ხელმძღვანელი **დალი გოროშიძე** ტრადიციული სწავლების პროცესს მოცილებულ პატარებს მუსიკასთან შეხვედრის სიხარულს აზიარებს. ისინი ახლა მშვენივრად უკრავენ და მღერიან და, რაც მთავარია, უკვე ისიც იციან, რომ თუ რაიმე ძალიან გინდა, გსურს და გიყვარს, აუცილებლად მიაღწევ!





სტუდიას თავისი მეგობრები და მხარდამჭერებიც გამოუჩდნენ — საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ "World Vision"-მა ახლად ფეხადგმულ მუსიკოსებს საახალწლო საჩუქრები გაუგზავნა და ამ ისედაც ბრწყინვალე დღესასწაულს უფრო საზეიმო განწყობილება შესძინა.

# მე რომ 1000 დოლარი მქონდეს...

**საკონტროლო წერა თემაზე: „1000 დოლარი რომ მქონდეს“... წერენ თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მეოთხეკლასელები**



ათასი დოლარი არც ისე ბევრი ფულია, მაგრამ რომ მქონდეს, პირველ რიგში მათხოვრებს მივცემდი, ბავშვებს ნანატრ ცხოვრებას დავუბრუნებდი.

**ქეთევან ცნობილაძე**

... დედას მივცემდი, მათხოვრებს დავეხმარებოდი, ეკლესია-მონასტრებს გადავუხდიდი, საკლასო ოთახში ყვავილებს და ლამაზ სურათებს დავკიდებდი, ჩემთვის ტანსაცმელს ვიყიდიდი, მამას მივცემდი, მანქანას ვიყიდიდი. დავიცავდი ჩემს საქართველოს, მასწავლებელს კაბას ვუყიდიდი და სახლებს ავაშენებდი.

**გიორგი ჩოხელი**

... პირველ რიგში მამაჩემს მივცემდი, რომ სამსახური ეშოვა. დანარჩენს დედაჩემს მივცემდი. და ცოტას სკოლაში დავდებდი, რომ ჩვენი საკლასო ოთახი გაალამაზონ და რაც დამრჩებოდა, ჩემს ლალი მასწავლებელს მივცემდი.

**სოფო უგრეხელიძე**

... ჯერ მათხოვრებს დავეხმარებოდი. შემდეგ კი პატარა ბავშვებს ნატვრებს ავუსრულებდი. მე ძალიან ბევრ მათხოვარს ვხედავ, მაგრამ ერთი განსაკუთრებით მეცოდება. ბებიაჩემის სასაფლაოზე არის ერთი მათხოვარი, რომელსაც ძალიან დიდი თავი აქვს და პატარა ტანი. პირველად რომ დავინახე, ძალიან შემეცოდა, ამიტომ მას ბევრ ფულს მივცემდი. იქნებ აღარ ემათხოვრა.

**სოფო ხარიტონაშვილი**

მე ძალიან მეცოდება ის ადამიანები, რომლებიც ხელგაწვდილები დგანან ქუჩაში. განსაკუთრებით კი მეცოდებიან ქალები, პატარა ბავშვები რომ უჭირავთ და მათხოვრობენ. მე დავეხმარებოდი მათ.

შემდეგ ჩემს საკლასო ოთახს შევაკეთებდი, ვიყიდიდი ყვავილებს და გავალამაზებდი. ცოტას ჩემთვის გამოვიყენებდი. ვიყიდიდი ახალ ტანსაცმელს, ახალ თოჯინებს და ცოტას ჩემს დედმამას და პატარა დაიკოს მივცემდი.

**თამარ დორეული**

... პირველ რიგში, ჩემს ნათესავებს დავეხმარებოდი. ცოტა ფულს ოჯახს მოვახმარებდი, ცოტას კი სწავლისათვის დავხარჯავდი. ასევე არც ჩემს საკლასო ოთახისათვის დავიშურებდი. ცოტას სახელმწიფოს შევწირავდი. რამდენიც დამრჩებოდა, ჩემს თავს მოვახმარებდი. სასწავლო ნივთებს ვიყიდიდი, რომ ვისწავლო და სამშობლოს გამოვადგე.

**სალომე ჟიჟიანი**

ჩემს მასწავლებელს მივცემდი და მათხოვრებს დავურიგებდი. ჩემს მშობლებს მივცემდი. ჩემთვის და ჩემი მეგობრებისათვის რაღაცას ვიყიდიდი. კლასს შევალამაზებდი და სახლისთვისაც რამეს ვიყიდდი. ჩემთვის მანქანას ვიყიდდი და ვისეირნებდით მე და ჩემი მეგობრები. მთაწმინდაზე წავიდოდით, როგორც მაშინ წავედით და კარგი დრო გავატარეთ.

**თამარ ძნელაძე**

... დავეხმარები ბებოს, დავეხმარებოდი დედას. დავიცავდი ჩემს თბილისს. ავაშენებდი დანგრეულ სახლებს. მასწავლებელს სამახსოვრო საჩუქარს ვუყიდდი. დავეხმარებოდი გაჭირვებულებს და მათხოვრებს. სკოლას გავარემონტებდი.

**არჩილ შუშანაშვილი**

... ჩემს სურვილს ავისრულებდი, ბევრ ქვეყანას მოვივლიდი. ჩემთვის კაბებს ვიყიდდი, კარგად ჩავიცვამდი და დავიხურავდი. ცოტა ფულს ჩემს დასაც მივცემდი. კიდევ ჩემს საკლასო ოთახისათვის კარგ საკეტს ვიყიდიდი. ჩემს მასწავლებელს კარგ საჩუქარს მივუტანდი.

ჩემთვის თოჯინას ვიყიდიდი. ჩემი საკლასო ოთახისათვის მუშას მოვიყვანდი და მერხებს შევაკეთებინებდი. დანარჩენი ფულით მათხოვრებს დავეხმარებოდი.

**ნინო მიქაშავიძე**



... ცოტას მამაჩემს მივცემდი, ცოტას მე დავიტოვებდი და ამ ფულით საჭირო ნივთებს ვიყიდიდი. მათხოვრებს დავურიგებდი, რადგან მე ისინი ძალიან მეცოდება.

**ნინო ხოშტარია**

... დედაჩემს და მამაჩემს დავეხმარებოდი. ცოტა რამეს ჩემთვის ვიყიდიდი. საკლასო ოთახს გავასუფთავებდი, ახალ მერხებს ვიყიდიდი, ყვავილებს დავდგამდი, ხოლო ლალი მასწავლებელს ლამაზ ვარდებს ვაჩუქებდი.

**მარი თოქმაზიშვილი**

... პირველ რიგში წავიდოდი საფრანგეთში. შევიდოდი დისნეილენდში, ბევრს ვისეირნებდი, რამდენიმე დღე დავრჩებოდი და შემდეგ თბილისში ჩამოვიდოდი. რამდენიც დამრჩებოდა ფული, ჩემს პირველ მასწავლებელს, რომელსაც, სამწუხაროდ, წელს ვშორდები, სამახსოვრო საჩუქარს ვუყიდიდი.

**ლია ჩილინდრიშვილი**

... პირველ რიგში გაჭირვებულებს დავეხმარებოდი. შემდეგ კარგ "როლიკებს" ვიყიდიდი. ვიყიდიდი ძაღლს, კავკასიურ ნაგაზს. ვიყიდიდი აკვალანგს და სათვალეს. შემდეგ წავიდოდი ბათუმში და წყლის ქვეშ ვიმოგზაურებდი. ბოლოს ჩემს საყვარელ მასწავლებლებს ვუყიდიდი ლამაზ ყვავილებს.

**ირაკლი პატარაია**

... ჩემს მშობლებს დავეხმარებოდი, თუ გაუჭირდებათ. ჩემთვისაც ვიყიდიდი რამეს. ამერიკაში რომ წავიდოდი, ლალი მასწავლებელსაც წავიყვანდი და ვასიამოვნებდი. გაჭირვებულ ხალხს დავეხმარებოდი და სამსახურს ვუშოვიდი. საკლასო ოთახს გავასუფთავებდი, ბავშვებსაც ვუყიდიდი რამეს და დედ-მამასაც ვასიამოვნებდი.

**ეკა მიქაშავიძე**

... დედას თუ გაზის ფული არ ექნება, მივცემდი. თუ დედა, ბებია ან კიდევ ვინმე გიმიხდებოდა ავად, ჩემ ათას დოლარად ვუყიდიდი წამალს, ვიყიდიდი საჭმელებს, პურს, კვერცხებს, კარაქს და კიდევ ბევრ რამეს. შუქის ფულს გადავიხდიდი, ტელეფონის ფულს და დედიკოს როცა გაუთავდება, პომადას და სხვა ასეთ რამეებს ვუყიდიდი. გავალამაზებდი ჩვენ საკლასო ოთახსაც.

**თამარ გვიანიშვილი**

1000 $ ძალიან ცოტაა, მაგრამ ამ ფულით ბილეთს ვიყიდდი და ისრაელში წავიდოდი მამიკოსთან. დანარჩენი ფულით დედიკოს და ჩემს დას ყვავილებს ვუყიდდი.

**ბესო ბერულავა**

... პირველ რიგში მათხოვრებს დავეხმარებოდი. მერე კი ჩემთვის ვიყიდდი სათამაშოებს, ზოგს ამხანაგს მივცემდი, ზოგს დავიტოვებდი. დედაჩემს ყვავილებს ვუყიდდი და კიდევ კაბას ვაჩუქებდი. კლასელებს წავიყვანდი ვაკის პარკში და იქ ძალიან გავერთობოდით. კლასში მერხებს გამოვცვლიდი და კლასს დამლაგებელს დავალაგებინებდი კარგად. ანტალიაში დავისვენებდი, შოკოლადებს ვიყიდდი, ვიქეიფებდი ჩემს ამხანაგებთან ერთად.

**ლაშა სურგულაძე**

... დავეხმარებოდი გაჭირვებულებს. შემდეგ შევალამაზებდი საკლასო ოთახს, ვიყიდდი ველოსიპედს, წავიდოდი დისნეილენდში, ავაშენებდი დანგრეულ სახლებს, ყველა მათხოვარს დავეხმარებოდი. შემდეგ ლალი მასწავლებელს და ნანა მასწავლებელს ქალთა დღეს ვუყიდიდი საჩუქრებს, შევიძენდი ახალ რამეს და ჩემს დედას ვუყიდიდი ლამაზ ბეჭედს.

**ჯაბა ჭანკვეტაძე**

... პირველ რიგში ახლობლებს დავეხმარებოდი, ჩვენი კლასის გასარემონტებლად დავდებდი ფულს, შემდეგ იმდენ მათხოვარს დავეხმარებოდი, რამდენზეც მეყოფოდა ფული. თუ ჩემთვისაც დამრჩებოდა, ვიყიდიდი იმას, რაც ჩემთვის აუცილებელია.

**სანდრო თუთბერიძე**

... ცოტას მათხოვრებს მივცემდი, კიდევ წავიდოდი ურეკში, დავიქირავებდი ბინას და კარგ დროს გავატარებდი, კიდევ ვიყიდიდი სათამაშოებს, სკოლაში კედლებს გავარემონტებდი. ჩემს კლასელებს, ყველას ვუყიდიდი სათამაშოებს, ვიყიდიდი ბევრ ავეჯს. ცოტას ჩემს დას, მამას, დედას მივცემდი. სკოლაში ახალ მერხებს ვიყიდიდი, კიდევ ხელოვნურ ყვავილებს ვიყიდიდი და სკოლას გავალამაზებდი.

**გიორგი კიკნაძე**

... პირველ რიგში დედას ვუშოვიდი სამუშაოს. შემდეგ მამას მივცემდი ორას დოლარს და ორასსაც ჩემთვის დავიტოვებდი. ცოტას მათხოვრებს მივცემდი და დანარჩენს მასწავლებელს ვაჩუქებდი.

**ანა წულუკიძე**

... სამას დოლარს მამას მივცემდი, ორას დოლარს დედას, ხოლო ასი დოლარით ჩემს საკლასო ოთახს გავარემონტებდი, ყვავილებს ვიყიდდი, მერხებს გავაწმენდინებდი, რატაკზე ლაქს წავასმევინებდი და დაფისათვის ცარცებს ვიყიდდი. ორმოცდაათ დოლარს მათხოვრებს მივცემდი. ასორმოცდაათი დოლარით საკლასო ოთახისთვის კარგ ნახატს ვიყიდდი.

**ბენი კვესოშვილი**

... პირველ რიგში დავეხმარებოდი ჩემ ტოლ ბავშვებს, რომლებიც ხელგაწვდილნი დაიარებიან ქუჩაში. მე ისინი ძალიან მეცოდებიან და ახლაც, რაც შემიძლია, ვეხმარები.

**ელენე ასათიანი**

... დავეხმარებოდი გაჭირვებულებს. როცა სკოლაში მივდივარ, ქუჩაში ყოველთვის მხვდება ერთი ქალი, რომელიც მათხოვრობს, მას პატარა ბავშვებიც თან ახლავს. მე ძალიან მინდა დავეხმარო მათ. სკოლიდან სახლში რომ ვბრუნდები, ეზოში მხვდება კაცი, რომელიც ნაგავში ეძებს რამეს. მე ძალიან მინდა დავეხმარო ყველა გაჭირვებულ ადამიანს.

**ქეთევან იგიტაშვილი**

... ჯერ ჩემს ოჯახზე ვიზრუნებდი. რაც დედას და მამას მოუნდებოდათ, ვუყიდიდი. შემდეგ ჩემს ძმას შევუსრულებდი თხოვნას და ჩემთვისაც რამეს ვიყიდიდი. მაგრამ ჩემს საყვარელ ბებიას, ბაბუას და ბიძას, რომლებსაც ვაღმერთებ, არ გამოვტოვებდი და მათაც ვუყიდიდი, რასაც მოინდომებდნენ. იმ ფულით, რაც დამრჩებოდა, მათხოვრებს დავეხმარებოდი. მართალია, ბინას ვერ ვუყიდიდი, მაგრამ ცოტა პირობებს ხომ გამოვუსწორებდი...

**გვანცა თეთვაძე**

... პირველ რიგში საჩუქრებს გავუკეთებდი ჩემს მოხუცებულ ბებიას და ბაბუას, დედიკოს და მამიკოს. დავეხმარებოდი ქუჩაში მდგარ გაჭირვებულებს. განსაკუთრებით ჩემს თანატოლებს, დახმარებას რომ ევედრებიან ხალხს. თუ კიდევ დამრჩება თანხა, ველოსიპედს ვიყიდი.

**გვანცა ჩიქოვანი**

**მოამზადა თამარ თათვიძემ**





საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# იზარდე, მწვანე ჯეჯილო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

### შენს სიყვარულში ხელმეორედ დავიბადები

წახვედი... ჩვენი გაიყარა
გზაჯვარედინი,
ნაცნობი სევდა კვლავ მოაწვა
დაქანცულ სახეს,
მოგონებიდან ამოგშალე, მეგონა,
მაგრამ
მე შენზე ფიქრი ხომ ვერაფრით
დავასამარე.
მე შენი მონა გამიხადე _ ამაზეც
მადლობთ
და შენს მუხლებთან დავემხობი ვით
კართაგენი,
ვილოცებ შენზე, მე ხომ შენი სიშორე
მათბობს,
ო, როგორ მინდა დავივიწყო ის
ყველაფერი.
მე ამ ცხოვრების მსახიობად მაკურთხა
ღმერთმა,
მომბეზრდა, მორჩა, ჩამოუშვით შავი
ფარდები,
მე და ცხოვრება ავქვითინდით ამ
ლექსში ერთხმად,
შენს სიყვარულში ხელმეორედ
დავიბადები.

### იქნებ, უბრალოდ იყავ ოცნება

ზღვაში გავუშვებ ფიქრების აფრებს
და გადავმალავ ყველა ოცნებას,
იქნებ, მე მართლა ძლიერ მიყვარდი,
იქნებ, უბრალოდ იყავ ოცნება.
დავიფერფლები ფიქრების ცეცხლში
და როცა მოხვალ, მე ვერ მიპოვი,

**მაია ჯანგულაშვილი**
თბილისის 173-ე სკოლის IX³ კლასის მოსწავლეა. გარდა პოეზიისა, ძალიან უყვარს მუსიკა, თეატრი, ცხოველები, წიგნები.



გაქრება წამში ყვითელი ღმერთი,
გადამიჩხაპნის ყველა სტრიქონებს.
მე მაინც გეძებ, მე მაინც მწამხარ,
მე მაინც მინდა შენზე ვიფიქრო,
იქნებ, უბრალოდ შენ გულისთქმა ხარ,
იქნებ, უბრალოდ გად აგივიწყო.
მე გადავჩხაპნი ყველა ოცნებას,
და თუ მიყვარდი, გადაგივიწყებ,
შენ იქნებ, ახლა სულ არ გახსოვარ,
მე კი აქამდე ვერ დაგივიწყე.
თავს ჩამოიხრჩობს წარსულის წამი,
თვალებს დახუჭავს, გაქრება მერე,
ოცნების ზღვაში მიპოვის ქარი,
შუბლზე დამაწყობს გაყინულ ხელებს.
მე გაზაფხულზე თეთრ გვირგვინს
დავწნი,
მერე გიპოვი, დაგადგამ თავზე,
მე ჩემს ცხოვრებას მ ოვხაზავ
ფანქრით
და გაშავებულს დავტოვებ არეს.
მე მაინც გეძებ, მე მაინც მწამხარ,
მე მაინც მინდა შენზე ვიფიქრო,
იქნებ, უბრალოდ შენ გულისთქმა ხარ,
იქნებ, უბრალოდ გადაგივიწყო...

### ბავშვობის დღეებს თითებზე ვითვლი

მე სულ არ მინდა გატკინო გული
და ჩემზე ფიქრსაც მე ვერ მოგიშლი,
ვიცი, ღიმილქვეშ გიკვდება სული,
ნუ დაიღლები შენ ჩემს ლოდინში.
გადავა ხანი, შენ შენსას იტყვი,
და დამივიწყებ, როგორც წარსული,
ბავშვობის დღეებს თითებზე ვითვლი
სიყვარულისგან გადაქანცული.

* * *

ქარი სილაში ურევდა ხელებს...
თითქოს მერწავდა ყვავილთა კონას...
გადარეული ურჩევდა ფერებს.
მზეც არ ცხრებოდა
და წითლდებოდა,
და წითლდებოდა ვით ნასი ქალი...
ქარმა იები გადმოაყარა ოქროსფერ
თმაში.
დრო მიდიოდა...
ცა ზღვას ერთვოდა...
მზეც არ ცხრებოდა...
მზე წითლდებოდა...
თითქოს დნებოდა...
სადღაც ქრებოდა...
და ეშვებოდა შიგ შუა ზღვაში.
ქარი სილაში მერწავდა იებს...

# რა და რა ჰქვია რას და რას

ეროვნული ბიბლიოთეკა




სამშენებლო იარაღები

**კალატოზის იარაღები**

**ნიჩაბი** ხისაა. ნიჩბით ტალახს იღებენ და ხელში იკავებენ.

**ქაფჩას** პირი რკინისა აქვს, ტარი – ხისა. ქაფჩით ტალახს იღებენ და ასწორებენ.

**ხის მალა**. მალით კედელს ლესავენ, კედლის პირველად გასალესად იხმარება.

**რკინის მალა** კედლის გასასწორებლად იხმარება.

კარი და მისი ნაწილები





# რატომ მაინც-დამაინც კატის წელი?

**როგორც ამბობენ და წერენ, 1999 წელი კატის წელია. რას ნიშნავს ეს და საერთოდ, რა არის ასტროლოგია, ჰოროსკოპი? სხვა წლები რომელ ნიშანს ატარებს? რით ხასიათდება კატის წელს დაბადებული ადამიანი?**

**ლელა ნადირაშვილი,**
**თინათინ შერგილაშვილი,**
**მაგდანა ილურიძე.**
**ქ. თბილისი**

ასტროლოგია, ვარსკვლავთმისნობა ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა, იგი უხსოვარ დროში ჩაისახა, მისი პრაქტიკულად გამოყენება კი ჩვენს წელთაღრიცხვამდე ოთხი-ხუთი ათასი წლის წინათ დაიწყო. პირველი ასტროლოგები შუმერები, ბაბილონელები, ქალდეველები იყვნენ... ასტროლოგია ადამიანს შეიმეცნებს არა როგორც ცალკე არსებას, არამედ როგორც მთლიანი სამყაროსეული შერწყმის შემცირებულ მიკროინდივიდუალობას. აქვე იმასაც დავძენთ, რომ ეს მეცნიერება გელათისა და იყალთოს აკადემიებშიც ისწავლებოდა.

"ჰოროსკოპი" ბერძნულად დროის მაჩვენებელს ნიშნავს. ასტროლოგიური ჰოროსკოპი ორი გარემოებით განისაზღვრება — მზის, მთვარის და სხვა პლანეტების მდგომარეობით და ზოდიაქოს ნიშნებისა და თანავარსკვლავედების განლაგებით ადამიანის დაბადების მომენტში. ჰოროსკოპის შესადგენად აუცილებელია დაბადების ზუსტი დროს, (საათის და წუთისაც კი), და ადგილის ცოდნა...

ბოლო ხანებში მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა აღმოსავლურიაპონური, ჩინური, ვიეტნამური კალენდრები, ჰოროსკოპები, რომლებშიც გამომდინარე ადგილობრივი რელიგიიდან, წელთაღრიცხვის სისტემიდან და ძველი ფილოსოფიიდან, გამოიყენება სხვადასხვა ნიშნები, სიმბოლიკა, ბუნების ხუთი ელემენტი (ხე, ცეცხლი, მიწა, ლითონი და წყალი), ბუდისტურ ზოდიაქოში შემავალი თორმეტი ცხოველია: თაგვი, ხარი, ვეფხვი, კურდღელი, დრაკონი, გველი, ცხენი, ცხვარი (ვერძი), მაიმუნი, ქათამი (მამალი), ძაღლი, ტახი (ღორი). ძველი გადმოცემების თანახმად, ზოდიაქოს ნიშნები ზეგავლენას ახდენს ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთა ხასიათზე.

**ჩინური ჰოროსკოპი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვირთხა | 1900 | ვეფხვი | 1902 | დრაკონი | 1904 | ხარი | 1901 |
| | 1912 | | 1914 | | 1916 | | 1913 |
| | 1924 | | 1926 | | 1928 | | 1925 |
| | 1936 | | 1938 | | 1940 | | 1937 |
| | 1948 | | 1950 | | 1952 | | 1949 |
| | 1960 | | 1962 | | 1964 | | 1961 |
| | 1972 | | 1974 | | 1976 | | 1973 |
| | 1984 | | 1986 | | 1988 | | 1985 |
| | 1996 | | 1998 | | 2000 | | 1997 |
| კატა | 1903 | გველი | 1905 | ცხენი | 1906 | მაიმუნი | 1908 |
| | 1915 | | 1917 | | 1918 | | 1920 |
| | 1927 | | 1929 | | 1930 | | 1932 |
| | 1939 | | 1941 | | 1942 | | 1944 |
| | 1951 | | 1953 | | 1954 | | 1956 |
| | 1963 | | 1965 | | 1966 | | 1968 |
| | 1975 | | 1977 | | 1978 | | 1980 |
| | 1987 | | 1989 | | 1990 | | 1992 |
| | 1999 | | 2001 | | 2002 | | 2004 |
| ძაღლი | 1910 | თხა | 1907 | მამალი | 1909 | ღორი | 1911 |
| | 1922 | | 1919 | | 1921 | | 1923 |
| | 1934 | | 1931 | | 1933 | | 1935 |
| | 1946 | | 1943 | | 1945 | | 1947 |
| | 1958 | | 1955 | | 1957 | | 1959 |
| | 1970 | | 1967 | | 1969 | | 1971 |
| | 1982 | | 1979 | | 1981 | | 1983 |
| | 1994 | | 1991 | | 1993 | | 1995 |
| | 2006 | | 2003 | | 2005 | | 2007 |

რაკიდა 1999 წელი კატის წლად არის მიჩნეული, ვნახოთ, როგორ ხასიათდებიან ამ ნიშნის ქვეშ, ანუ 1903, 1915, 1925, 1939, 1951, 1963, 1975, 1987, 1999 წლებში დაბადებული ადამიანები.

***

**კატა** (კურდღელი) ყოველთვის ეცემა თავის თათებზე. იგი იღბლიანია, ნიჭიერი, პატივმოყვარე, სასიამოვნო, თავმდაბალი, თავშეკავებული, დახვეწილი და კეთილმოსურნე. მაგრამ აქვს ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი: ზედაპირული პიროვნებაა და აქედან გამომდინარე, ყველა მისი კარგი თვისებაც ზედაპირულია. კატას უყვარს საზოგადოება და ჭორაობა, მაგრამ ამას აკეთებს მოხერხებულად, ჭკვიანურად და ფრთხილად, ერიდება ცუდის თქმას. უყვარს სტუმრების მიღება და სახლი დახვეწილი გემოვნებით აქვს მოწყობილი. იგი მაღალი წრის ადამიანია, ზოგიერთი მას სნობსაც უწოდებს, პედანტია. ქალი — კატას უყვარს თავის გამოჩენა. თუკი რაიმეს სწავლობს, სწავლობს საფუძვლიანად და იმისათვის, რომ ამ ცოდნით თავი გამოიჩინოს საზოგადოებაში.

კატა მშვიდი და აუღელვებელია, უცებ არ გამოდის წონასწორობიდან, მასში უფრო მეტი სენტიმენტალობაა, ვიდრე ნამდვილი მგრძნობიარობა. ომი და შიმშილობა იმ შემთხვევაში აღელვებს, თუ პირადად განიცდის გაჭირვებას, მაგრამ იმდენად განიცდის, რომ შეიძლება ვერ გადაიტანოს

და მოკვდეს. კატა ადვილად იწყებს ტირილს და ასევე ადვილად მშვიდდება. კატა კონსერვატორია: სძაგს ყველაფერი, რაც შეარყევს მის ცხოვრებას, რაც სირთულეებს გამოიწვევს. ყველაზე უფრო ესაჭიროება კომფორტი და უსაფრთხოება, რადგან იგი ფრთხილია და ცოტა ნამუსიანიც კი, თუ ყოველივე არ აწონ-დაწონა, გადაწყვეტილებას არ მიიღებს. ფინანსურ ასპექტში იგი მოქნილია და ვინც მასთან საქმიან კონტაქტშია, არაფერს წააგებს. კატა კარგი ვაჭარია, აქვს ნიჭი — შეარჩიოს სიტუაცია და არ გაუშვას ხელსაყრელი მომენტი. მოკლედ, იგი კარგი საქმოსანია, აქვს გემოვნება. მას შეუძლია, აგრეთვე, იყოს იურისტი (ადვოკატი) ან აირჩიოს დიპლომატიური სარბიელი.

ამ ნიშნის ქალებს შეუძლიათ იბრწყინონ იმ სფეროში, სადაც საჭიროა გემოვნება, სტუმართმოყვარეობა და წარმომადგენლობა. პოლიტიკოსს (კაცს) სარგებლობას მოუტანს ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალის შერთვა, რადგან ქალი კატა ალერსიანი, ლაუზარელია, აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა ოჯახის წინაშე, მაგრამ ამასთანავე ხშირად თავის ახლობლებზე, შვილებზე მაღლა აყენებს მეგობრებს.

კატა კარგად ცხოვრობს თხასთან, რომელიც განსაკუთრებით აფასებს მის არტისტულ გემოვნებას. ყველაფერი კარგად აეწყობა პატიოსან ძაღლთან და ზედმიწევნით ანალიზის მოყვარულ ღორთან. თავისი ბაქიაობით წონასწორობიდან გამოჰყავს მამალს. კატა უნდა მოერიდოს ვირთხას, როგორც ჭირს. ვეფხვთან მისი დამოკიდებულება, როგორც სიყვარულში, ასევე საქმეში დაძაბულია, კატა უფრო ძლიერია და ყოველთვის შეუძლია თამაშიდან გამოვიდეს. ისინი ერთი ოჯახიდან არიან და ამიტომ კატას არ ეშინია ვეფხვის.

კატა მშვიდად იარსებებს მისი ცხოვრების სამ ფაზაში, იმ პირობით, რომ არ შეხვდება განსაკუთრებული დრამატული მოვლენა, გაურკვეველი წინააღმდეგობა, ომი, რევოლუცია, კატასტროფა. აზიის ხალხები არ ცნობდნენ კატას ან კურდღელს, ხალხში ამბობენ, ჯადოქრები გარდაიქმნებიან კატებადო. ევროპაში მათ სწვავდნენ, ეშმაკთან კავშირში ადანაშაულებდნენ, თუმცა ბევრ ქვეყანაში კატას პატივს სცემდნენ, როგორც ღმერთს.

**ახლა კი, ბარემ ისიც ვნახოთ, როგორი იქნება კატის წელი სხვა ნიშნების ქვეშ დაბადებულებისთვის.**

ეს წელი ძირითადად წყნარი იქნება და თქვენც დაისვენებთ, რადგან შეიძლება მომავალი წელი მშფოთვარე იყოს. მოაწყვეთ დარბაზობები, შეხვედრები, ბევრი იკითხეთ. ეს წელი სასიხარულო იქნება დიპლომატებისთვის. მოსალოდნელია სასიკეთო ცვლილებები. კეთილსაიმედო იქნება კატის წელი კანონის ხალხისათვის. ამ წელს დაბადებული ბავშვი წყნარი და ბედნიერი იქნება. განსაკუთრებით, თუ ზაფხულში დაიბადება.

**ვირთხა** – ფრთხილად უნდა იყოს, მოსახვევში კატა ელოდება, ამიტომ ურჩევნია, არაფრით მიიქციოს ყურადღება.

**ხარი** – ხარის წელს დაბადებულებისთვის კატის წელი იდეალური არ იქნება, თუმცა ხარს შეუძლია მშვიდად იმუშაოს.

**ვეფხვი** – უნდა ისარგებლოს ამ წლით და დაისვენოს. კატა მას ზიანს არ მოუტანს.

**გველი** – ძალიან ზარმაცია. მან უნდა მოიცადოს, სანამ ეს წელი არ გაივლის.

**თხისთვის** – ეს წელი ძალიან შესაფერისია.

**კატა** – რა კარგი წელია ეს შენთვის! ზიხარ ბუხართან არხეინად და არავითარი პრობლემები არ გაწუხებს. მთელი ეს წელი მეგობართა წრეში სასიამოვნო საქმეებით იქნები დაკავებული.

**დრაკონი** – კატა ხელს ვერ შეუშლის დრაკონს იბრწყინოს. პირიქით, გაართობს მას.

**მაიმუნი** – მაიმუნს წელს შესანიშნავად წაუვა საქმე. წლევანდელი წელი ყველა თვალსაზრისით ხელსაყრელი და საიმედო იქნება მისთვის.

**მამალი** – წინა წელს ერთგვარად ტრავმირებული და დაზარალებული მამალი წელს ფრთხილი იქნება და არაფერს წამოიწყებს.

**ძაღლი** – ამოისუნთქავს და თითქმის მხიარული იქნება. კატა მას მშვიდობას მოუტანს. ძაღლმა უნდა ისარგებლოს წლის სიკეთით და უნდა დაქორწინდეს.

**ღორი** – ამ ნიშნისთვის ყველაფერი კარგად იქნებოდა, ჰაერში რომ პროგრესის სუნი არ ტრიალებდეს. ღორი ნებისმიერი ხერხით უნდა ეცადოს მოერიდოს ამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ხალხური პოეზია

თაობიდან თაობას გადასცემდა ქართველი ხალხი სულაც წერა-კითხვის უცოდინარი, მაგრამ უმაღლესი პოეტური ნიჭით მომადლებული ადამიანის მიერ ოდესღაც გამოთქმულ ლექსებსა თუ პოემებს, შაირებსა თუ კაფიებს. იხვეწებოდა, სრულქმნილდებოდა ეს ყოველივე და ხელი-ხელ საგოგმანებელ მარგალიტებად გროვდებოდა ხალხურ შემოქმედებაში, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჩვენი სულიერი კულტურა.

რაზეა ეს ლექსები? სიყვარულზე, წუთისოფლის სიმუხთლეზე, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებზე, ქალის ერთგულებისა და კაცის სიმამაცეზე, ღრუბლებზე, მთებზე, ყვავილებზე...

## შირაქის გზაზე

შირაქის გზაზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო.
წინ შემეყარა ჰეჭელა,
წითლად უჩანდა მხარიო,
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჯვარიო.
ვაი, რა მნელი ყოფილა
სხვაზე გავარდნილ თვალიო,
ალვანსა შემოვიარე,
შემოვატარე თვალიო.

## ა, ის ღრუბელნი მიყვარან

ა, ის ღრუბელნი მიყვარან,
ბორბალოზე რო დიანო,
ერთიმეორის შაერასა
ხარობენ, მეელიანო.
შაიერებიან ერთადა,
მანანას ჩამაერიანო,
რაც უნდა ბევრი ეცადნენ,
ჩვენ ერთურთს ვერ გაგვყრიანო.

## ცაზედ მოდიან წერონი...

ცაზედ მოდიან წერონი,
მწკრივადა, ჯარის-ჯარადა,
ვერა ჰხედავთა, ტივლებო,
ცრემლი ჩამამდის ღვარადა?
წადით, წაიღეთ ამბავი,
არსად დაჰკარგოთ მარადა;
უთხარით, ნუ დამივიწყებს
ქალასა ტურფას ტანადა;
ნეტავ არ ვაგონდებია —
მე ხო ვსულდგმულობ მალადა?..

## ხოგაის მინდი

ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა ჭეხდა, მიწა გრგვინავდა,
სული გვიანა ჰხდებოდა,
ჩამოდიოდა მასკვლავი,
მთვარეც უკუღმა დგებოდა,
ქორ-შავარდენი, არწივი
სუ მხრებით იხოშებოდა.
მაღლის ჭიუხის ნადირი
სატირლად ემზადებოდა,
ცხენი იმისი, ტიალი,
ლურჯა ტოტზედა დგებოდა;
ცოლი იმისი, ბეჩავი,
სულ შავად იმოსებოდა;
დედა იმისი, საბრალო,
ტირის, აღარა ჰხდებოდა,
მამა იმისი, საბრალო,
თმა-წვერით იხოშებოდა.

## კაი ყმა

სამი არ გაიწურთნება:
მგელი, არწივი, კაი ყმა.
მგელი არ მაშლის მგლობასა,
კაი ყმა მამაცობასა,
არწივი არწივობასა,
მთის ყურეთ თამაშობასა.
მგელი გაივლის მთაზედა,
ნამ გაბერტყილი დარჩება.
დაიხუვლების არწივი,
მთით ბარად ჩამოვარდება,
დაიჭერს შუნის თიკანსა,
ხორცი მვალად-ღა დარჩება.
მაშინ კარგია კაი ყმა
რა დილა ბინდზე დგებოდეს,
იცვამდეს გრილსა რკინასა
"ომს ვიზამ" — ემზადებოდეს.
ლურჯაი ხრავდეს ლაგამსა,
წაღმა-უკუღმა დგებოდეს,
იხარჯებოდეს კაი ყმა,
თოფი ოხრადა რჩებოდეს.

# AUDIO & VIDEO

**„პატარა მამაკაცები“**. LOUISA MAY ALCOTT'S LITTLE MEN. კანადა. 1998 წ. 1 სთ. 38 წთ. რეჟისორი როდნი გიბონსი. როლებში: მაიკლ კალოსი, მიურიელ ჰემინგუეი, ბენ კუკი, რიკი მეიბი.

განუყრელი მეგობრები ნეტი (კალოსი) და დენი (კუკი) კარგი ბიჭები არიან, მაგრამ ზოგჯერ თავნებობენ, ხულიგნობენ. ბიჭებმა წვრილმანი ქურდობა ჩაიდინეს და სასჯელის თავიდან ასაცილებლად ნეტმა მშობლიური ქალაქი მიატოვა და პრესტიჟულ სკოლაში გადავიდა, დენმა კი ეშმაკობით უშველა თავს. ნეტმა ძლივს მოასწრო ახალ სკოლაში წესიერი, პატიოსანი და ჭკვიანი მოსწავლის სახელი დაემსახურებინა, რომ დენი დაადგა თავს. ამ



უკანასკნელის სკოლაში გამოჩენა იყო და ბიჭების ჩხუბმა, პოკერის თამაშმა, ალკოჰოლის სმამ ლამის მასიური ხასიათი მიიღო. ცხადია, დენი სკოლაში არ გააჩერეს. ბიჭებს კი მისმა წასვლამ გული დაწყვიტა.

***

**„ძლიერი“**. THE MIGHTY. აშშ. 1998 წ. 1 სთ. 40 წთ. რეჟისორი პიტერ ჩელსომი. როლებში: შარონ სტოუნი, ელდენ ჰენსონი, კიერან კალკინი.

ფილმში ამბავს მაქსი ყვება, ბიჭი, რომელიც გონებრივად ჩამორჩენილის შთაბეჭდილებას ტოვებდა (რაც, როგორც მოგვიანებით ირკვევა, მისი გაუცნობიერებელი რეაქციაა გარე სამყაროზე). როგორც მაქსი ამბობს, კევინმა ერთხელ და სამუდამოდ შეცვალა მისი ცხოვრება. კევინს კი – მაქსის თანატოლსა და მეზობელს ავადმყოფი ფსიქიკა აქვს, თუმცა დაავადება მის გონებრივ მონაცემებს ჯერ არ შეხებია და იგი ძალზე გონიერია.



ბიჭები ერთმანეთს "მრგვალი მაგიდის რაინდთა თქმულებების" კითხვისას დაუახლოვდნენ. კევინმა მაქსს ურთიერთობის სურვილი გაუღვიძა. ბიჭებმა მრგვალი მაგიდის რაინდთა კოდექსი მისაბაძად გაიხადეს და მთელ დროს წმინდა გრაალის ძებნას და ურჩხულზე ნადირობას ანდომებენ.

***

**„პონეტი“** . PONETTE. საფრანგეთი. 1998 წ. 1 სთ. 33 წთ. რეჟისორი ჟან დუაიონი. როლებში: ვიქტუარ ტივისოლი, ნადინ ტრენტინიანი, ქსავიე ბოვუა.

ხუთი წლის ვიქტუარ ტივისოლი, რომელმაც შარშანწინ ვენეციაში ქალის საუკეთესო როლისთვის პრიზი მიიღო, "პონეტშიც" შესანიშნავად თამაშობს. პატარა პონეტი მშობლებთან ერთად ავტოკატასტროფაში მოყვა და უდედოდ დარჩა. მამამ პანსიონში მიაბარა გოგონა. იქ პონეტი და სხვა ბავშვები სიკვდილზე და სულის უკვდავებაზე ლაპარაკობენ. გოგონა დარწმუნდება, რომ თუ ღმერთთან მოლაპარაკებას შეძლებს, დედამისი გაცოცხლდება.



***

**„პოლი“**. პოლი მოლაპარაკე თუთიყუშია. გარდა იმისა, რომ ბაძავს ადამიანებს, მას ძალიან უყვარს და



შეუძლია მათთან ურთიერთობა. პოლის ხრიკებს დიდი აურზაური მოსდევს ხოლმე. ჯერ კიდევ ბარტყი იყო თუთიყუში, როცა ის პატარა მარის აჩუქეს (მარის ჰალი ქეით აიზენბერგი თამაშობს). პოლი და მარი ძალიან დამეგობრდნენ. თუთიყუშის წყალობით გოგონა ლიყიანობისგან განიკურნა, მიუხედავად ამისა, მისმა მშობლებმა ენაჭარტალა ჩიტის თავიდან მოცილება გადაწყვიტეს. პოლი დიდხანს ეძებს თავის პატარა მეგობარს... სწორედ მხიარული თუთიყუშის თავგადასავალზეა ეს მშვენიერი ფილმი.

***

"გრემის" პრემიის ლაურეატმა, ამერიკის ერთ-ერთმა წამყვანმა გიტარისტმა, ჯგუფ Creedence Clear Water Revival-ის ლიდერმა და კომპოზიტორმა ჯონ ფოგერტიმ, როგორც იქნა, გაახარა თაყვანისმცემლები საკონცერტო ალბომით, რომელშიც 60-70-იანი წლების დიდი ჰიტების ვერსიები შევიდა. მათ შორისაა: "Born On The Bayou", "Green River", "Suzi Q", "I Put A Spell On You", "Who'll Stop The Rain", "Proud Mary" და სხვ.




***

ახალი ალბომისთვის, რომელსაც "Rhinoplasty" ჰქვია, Primus-მა შეარჩია "Scissor Man", პიტერ გაბრიელის "The Family And The Fishing Net", "Silly Putty" უძლიერესი ბანი-გიტარისტის სტენლი კლარკის რეპერტუარიდან, აგრეთვე ჯერი რიდის "Amos Moses", ჯგუფ "Police"-ის საკრავიერი "Behind My Camel". ალბომის დასკვნით ნაწილში კი "Primus"-ის წევრები უკრავენ საკუთარ "Too Many Puppies"-ს და "Metallica"-ს "The Thing That Should Not Be". ალბომში შევიდა აგრეთვე "Tommy The Cat"-ის და "Bol's Party Time Lounge"-ის საკონცერტო ვერსიები.



# „ბონსაი“ ციცქნას ნიშნავს

იაპონური სიტყვა "ბონსაი" მინიატურულ ქოთნის მცენარეს ნიშნავს. მინიატურიზმის მთავარი პრინციპი კი ჭურჭლის ზომის შეზღუდვით მცენარეთა ფესვების შეზღუდვასა და მათი მიწის ზემოთ მოქცეული ნაწილის გააზრებულ შემოჭრაში მდგომარეობს. თითქოს ბონსაის ხელოვნება ძნელი არ უნდა იყოს, მაგრამ სასურველი შედეგის მისაღწევად ხანგრძლივი მოვლა, ზრუნვა, რუდუნება და მოვლაა საჭირო.

საზოგადოდ, ჯუჯა მცენარეებს ჯგუფური გადანერგვით აშენებენ. ამისათვის კი მცენარის ტოტს მაკრატლით ირიბად უნდა ჩამოეჭრას ქვედა ნაწილი, მერე კი გადაწვენით ღრმად, შუა ნაწილამდე ჩაირგას ქოთანში. ქოთანი ნახევრად მზიან ადგილზე დადგით და დროდადრო ფოთლები წყლით დაუნამეთ. მცენარეთა უმრავლესობა გაზაფხულზე მრავლდება კალმით. თუ ციცქნა ნერგების მიღებას გადაწყვეტთ, თესვა ადრიან გაზაფხულზე უნდა დაიწყოთ. ნათესს ერთი წლის განმავლობაში ოთახის პირობებში მოუარეთ, მერე კი დააცალკევეთ და ცალ-ცალკე ქოთნებში გადარგეთ. ბონსაის ხელოვნებაში საუკეთესოდ 4-5 წლიანი ველური მცენარის ნერგები ითვლება. მცენარის ამოთხრისას ფრთხილად უნდა იყოთ, რათა ძირითადი ფესვები არ დაუზიანოთ. კარგი იქნება, თუ ამოღებულ ნერგს შინ მიტანამდე ნოტიო ხავსს ან გაზეთს შემოახვევთ. თავიდან მცენარე მოზრდილ ქოთანში ჩარგეთ, დარგვისას უთუოდ გაითვალისწინეთ შემდეგი: მცენარის ფესვები ყველა მიმართულებით უნდა იყოს განლაგებული: ნერგს ნაწილობრივ უნდა ჩამოეჭრას ძირითადი ფესვი; ძირითადის შემდეგ კი — დანარჩენი მიმართულებებით განვითარებული ფესვები: დატოვეთ მთავარი ყლორტი, დანარჩენი კი ჩამოაჭერით. ასე "დამუშავებული" ნერგი საცოდავი სანახავია, სამაგიეროდ, რამდენიმე წელიწადში იგი მშვენიერ ჯუჯა ხედ იქცევა.



ჯუჯა მცენარისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ხარისხს, ამდენად, უნდა ეცადოთ, იგი მინერალური და ორგანული ნივთიერებებისა და "ფორებიანი სივრცისგან" შედგებოდეს. თავად იაპონელები ასე იქცევიან — თიხიან მიწას ცრიან და იმდენ ნაწილად ყოფენ, რამდენი მცენარეც აქვთ. სხვები კი უბრალოდ ცუდად დამუშავებულ ქვიშიან და ნეშომპალიან ნიადაგს თიხაშერეული ნიადაგით ცვლიან. ისე რომ, თუ თქვენ ჯუჯა მცენარეების გამოყვანას შეუდგებით, გირჩევთ, მიწა ბაღიდან, ტყიდან ან სათბურებიდან აიღოთ. მიწა საგულდაგულოდ უნდა გაცრათ და გასაშრობად მზეზე გაშალოთ. კარგი იქნება, თუ მავნე ორგანიზმებისა და სხვადასხვა დაავადებების თავიდან ასაცილებლად მიწას გაასტერილებთ. ჯუჯა მცენარის ქოთანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დრენაჟი. ამისათვის კი ქოთნის ფსკერზე სპილენძის ბადე უნდა ჩაიდოს, მერე კი ზედ ბრინჯის ზომაზე გაცრილი წითელი თიხანარევი მიწა დაეყაროს, მთლიანად ქოთანი სასუქით განოყიერებული მიწით უნდა შეივსოს. კარგი იქნება, თუ ჯუჯა მცენარეებისთვის ტრადიციულ მოჭიქულ თიხის ჭურჭელს იხმართ.



კეიპაროსი (20 წლის, სიმაღლე 12,5 სმ.)

ჩასარგავად გამზადებულ მცენარეს ჯერ ფესვები შეუმოწმეთ, დარწმუნდით, რომ ძველი ფესვი მოშორებული აქვს, მერე კი ცენტრიდან 7-10 სანტიმეტრის დაშორებით ჩარგეთ იგი. ეს გადაწყვეტა მისაღებია არა მარტო ესთეტიკური თვალსაზრისით, არამედ მცენარის მოვლის თვალსაზრისითაც. მცენარე ჩარგვის უმალ მორწყეთ, ერთი კვირით ოთახის ყველაზე ნათელ ადგილას დადგით და გამუდმებით უნამეთ ფოთლები. მომდევნო ხუთი დღის განმავლობაში დღის პირველ ნახევარში გარეთ გადგით ხოლმე, მერე კი მთელი დღით აივანზე ან ბაღში დატოვეთ.

ჯუჯა მცენარე მინიატურული კი უნდა იყოს, მაგრამ მოყვანილობითა და თვისებებით ორიგინალისგან არ უნდა განსხვავდებოდეს. მაგალითად, ჯუჯა ბუჩქი ბუჩქს ჰგავს, კრიპტომერია სვეტის მოყვანილობისაა, ფიჭვი კი ციცქნა პირამიდაა.

ჯუჯა მცენარეს ტანისა და ცალკეული ტოტების ფორმა მავთულის მეშვეობით ეძლევა, მაგრამ, ძირითადი იარაღი აქ მაინც მაკრატელია. სხვა ხერ-

ხიც არსებობს. მაგალითად, შეგიძლიათ "გავარჯიშებით" მცენარის ღეროს ხელოვნურად გასქელებას მიაღწიოთ. ვარჯიში ასე უნდა ჩატარდეს: ცალი ხელი მცენარეს ძირში მოჰკიდეთ, მეორეთი კი ხან მარჯვნივ გადასწიეთ, ხან მარცხნივ. მცენარე ასე კვირაში რამდენჯერმე უნდა ავარჯიშოთ, ოღონდ, მეტისმეტი არ მოგივიდეთ, ძალზე ენერგიულმა ვარჯიშმა შეიძლება მცენარის დაღუპვა გამოიწვიოს. თუ გინდათ, მცენარეს, ვთქვათ, იაპონურ ძელქვას, ცოცხის ფორმა მისცეთ, ხელის ნაზი მოძრაობით ტოტები ზევით უნდა "აუქაჩოთ" ხოლმე.

დავუშვათ, კრიპტომერიის მინიატურიზება გადაწყვიტეთ. ასეთ შემთხვევაში ახალგაზრდა მცენარეს ჯერ ძირითადი ღერო უნდა გადაუჭრათ. ზუსტად პირველი გადანაჭერის ქვემოთ ახალი ამონაყარი განვითარდება და მეორე გადანაჭერიც სწორედ მასზე კეთდება და ა.შ. ეს პროცესი წლობით გრძელდება და სწორედ ამის წყალობით ინარჩუნებს ხე ჯუჯა ფორმას. ღეროს სწორი მიმართულების ზრდის უზრუნველსაყოფად ახალგაზრდა კრიპტომერიას წვრილი ლითონის მავთული უნდა შემოახვიოთ.

გასხვლას ჯუჯა მცენარეც მოითხოვს. 1-2 წლის ხეები კვირტის გაშლამდე უნდა გასხლათ, ძირიდან სამ მერვედ ან სამ მეოთხედ სანტიმეტრამდე. თუ სხვლას 4-5 წლის განმავლობაში გაიმეორებთ, ღერო ძალზე საინტერესო მოყვანილობას მიიღებს. თუ შეატყობთ, რომ ქვემოთა მხარეს ტოტი გამოიზარდა, იგი უნდა "ქაჩოთ" ხოლმე, ვიდრე არ დაგრძელდება, ხოლო წაგრძელებული ტოტი თითების ფრთხილი დაწოლით უნდა დაამუშაოთ, რათა ზრდა შეწყვიტოს.

თუ ტოტებდახრილი ჯუჯა მცენარე გინდათ, ტოტები ძირს დაუხარეთ და მავთული შემოახვიეთ. თუმცა შეიძლება ზოგიერთი მცენარე ისეთი სუსტი აღმოჩნდეს, რომ მავთულმა დააზიანოს, ამიტომ, შეგიძლიათ ქოთანს ისე შემოახვიოთ კანაფი, თითქოს ამანათს კრავდეთ. კანაფის მეშვეობით მცენარეს ტოტები ქვემოთ დაუხარეთ და სასურველ პოზიციაში დააფიქსირეთ. რამდენიმე თვეში ტოტი სასურველ ფორმას მიიღებს და აღარც კანაფი დასჭირდება.


იაპონური ჯუჯა ალუბალი (18 წლის, სიმაღლე 15 სმ.)


ძელქვა (10 წლის, სიმაღლე 10 სმ.)


აყვავებული ნუშის ხე (6 წლის, სიმაღლე 24 სმ.)

"ბონსაი" იმდენად სათუთი და ნაზია, რომ ნიადაგის განოყიერებისასაც ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ, თორემ ადვილი შესაძლებელია, ნიადაგში საკვები ნივთიერებების სიჭარბემ მცენარე დაღუპოს. არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ჯუჯა მცენარეს სასუქი ზრდისთვის კი არ აწვდიან, არამედ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. საუკეთესოა თხევადი სასუქი, რომელსაც არანაირი უსიამოვნო სუნი არა აქვს. ეს სასუქი ნიადაგს მორწყვის შემდეგ უნდა მოესხას გაზაფხულსა და ზაფხულზე. ზამთრობით ნიადაგი განოყიერებას იშვიათად საჭიროებს. თუ მცენარე ძალზე პატარაა, განოყიერება წყლის გასასვლელი მილიდან ინექციით უნდა განხორციელდეს.

თუ მცენარეს მოვლას არ დააკლებთ, მთელ დღეს მზეზე ამყოფებთ და არც მორწყვას დააკლებთ, იგი მშვენიერი სანახავი იქნება.

**გახსოვდეთ:**

"ბონსაი" ვერც დაბალ ტემპერატურას უძლებს და ვერც ძლიერ ქარს.

გაზაფხულსა და შემოდგომაზე მცენარე დღეში 2-3-ჯერ უნდა მოირწყას, ზაფხულში – 5-ჯერ, ქარიან დღეს – 7-ჯერ, ზამთარში კი ერთხელ მორწყვაც საკმარისია. მცენარე დილის 10 საათის შემდეგ მორწყეთ ხოლმე, საღამოს მორწყვას ერიდეთ. სასურველია წვიმის წყალი იხმაროთ, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, მაშინ მოსარწყავად წინა დღეს აღებული წყალი გამოიყენეთ;

"ბონსაის" მზის სხივები უნდა ხვდებოდეს, თაროები კი, რომლებზეც მცენარეები გიდგათ, კარგად უნდა ნიავდებოდეს;

იმისათვის, რათა მცენარემ პატარა ქოთანში გაიხაროს, ფესვები აუცილებლად უნდა მოკვეთოთ, დაუმოკლოთ;

ასევე სავალდებულოა ბონსაის გადარგვა, ასეთ შემთხვევაში 10 დღის განმავლობაში მცენარეს დამატებით უნდა "ასვათ" წყალი.

ნუ დაიზარებთ, ხელი მოჰკიდეთ ბონსაის ხელოვნებას და ნახავთ, რა დიდ სიხარულსა და სიამოვნებას მოგანიჭებთ საკუთარი ხელით გაშენებული ციცქნა ბაღი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტესტი

# ადვილად პატიობ თუ არა?



**1. ფოტოსურათზე აღბეჭდილმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა ძალიან იჩხუბეს. როგორ გგონია, შერიგდებიან?**

ა) არა, მათ შორის ყველაფერი გათავდა.

ბ) კი, რამდენიმე დღის შემდეგ ისინი კვლავ ერთად იქნებიან.

გ) არ ვიცი, ვერაფერს ვიტყვი.

**2. მაღაზიის გამყიდველი ძალიან მკვახედ და მტრულად გელაპარაკება. რას გაიფიქრებ?**

ა) "აქ აღარასდროს მოვალ!"

ბ) "ალბათ ძნელი დღე ჰქონდა".

გ) "თუ სხვა დროსაც ასეთ ხასიათზე იქნება, მიზეზს ვკითხავ".

**3. როგორ მუსიკას უსმენ, როცა სიყვარულთან დაკავშირებული მოგონებები შემოგაწვება ხოლმე?**

ა) მძიმე როკს

ბ) "Scorpions"-ის ან "Aerosmith"-ის ბალადებს.

გ) ქართულ სევდიან ლირიკას.

**4. მეგობრის დაბადების დღეზე შეამჩნიე, რომ შენმა მეგობარმა გოგონამ (ბიჭმა) სხვასთან გააბა ფლირტი. როგორ მოიქცევი?**

ა) არაფრად ჩავაგდებ.

ბ) ძალიან არ მესიამოვნება და აუცილებლად გადავუხდი სამაგიეროს.

გ) ეს ამბავი არ შემაწუხებს, იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ მასში.

**5. რას გრძნობ, როცა შენი პირველი სიყვარული გახსენდება?**

ა) მსიამოვნებს ამაზე ფიქრი.

ბ) გაურკვეველი გრძნობები მეუფლება.

გ) არასდროს ვყოფილვარ შეყვარებული.

**6. შეყვარებული გამოგიტყდა, რომ გიღალატა, მაგრამ იმასაც გეუბნება, ეს არაფერს ნიშნავს. როგორ იმოქმედებს ეს თქვენს ურთიერთობაზე?**

ა) ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის მოხდა ეს და ისევ ხვდებიან ისინი ერთმანეთს თუ არა?

ბ) მეწყინება, ის კი მესიამოვნება, რომ გამომიტყდა.

გ) მას შემდეგ ვეღარ დავუჯერებ, ვეღარ ვენდობი.

**7. დავუშვათ, ვინმეს გაებუტე ვთქვათ, საყვარელ ადამიანს. შესარიგებლად პირველ ნაბიჯს ვინ დგამს?**

ა) ყოველ შემთხვევაში, მე არა. სიტყვა "მაპატიე" ძალიან მეჯაერება.

ბ) ამას მე ვაკეთებ ხოლმე.

გ) სიტუაციას გააჩნია.

**შედეგების შეფასება**

დააჯამე შენი პასუხების შესატყვისი ქულები

| | ა | ბ | გ |
|---|---|---|---|
| 1 | 6 | 0 | 3 |
| 2 | 6 | 3 | 0 |
| 3 | 0 | 3 | 6 |
| 4 | 3 | 6 | 0 |
| 5 | 0 | 3 | 6 |
| 6 | 3 | 0 | 6 |
| 7 | 6 | 0 | 3 |

**0-25 ქულა**

თუმცა გწყინს, როცა ტკივილს გაყენებენ, მაგრამ წყენა მალე გაგივლის ხოლმე. ყურადღება მიაქციე იმას, რომ ვიღაცამ არ ისარგებლოს შენი "გულმავიწყობით". რა თქმა უნდა, პატიება კარგი საქმეა, მაგრამ შეგნებულად მოყენებული წყენის დავიწყება ნამდვილად არ ღირს.

**24-33 ქულა**

გააჩნია, რამდენად ძლიერად გაწყენინეს. ზოგჯერ შეგიძლია მეორე დღესვე აპატიო მწყენინებელს. მაგრამ, თუ უბრალოდ კი არ გაწყენინეს, არამედ გიღალატეს და დიდი ტკივილი მოგაყენეს, ამ ადამიანთან ურთიერთობას არასდროს განაახლებ.

**33-46 ქულა**

ყველაფერი ძალიან ახლოს მიგაქვს გულთან. მთავარი მიზეზი ის არის, რომ წყენას მეტისმეტად დიდხანს ინახავ გულში. შეგიძლია უღიმოდე, მშვიდად ესაუბრებოდე იმას, ვინც გაწყენინა, გულში კი სამაგიეროს გადახდაზე ოცნებობდე. უმჯობესია ყველაფერი მაშინვე პირში უთხრა მწყენინებელს, მაშინ ცხოვრებაც უფრო გაგიადვილდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მაგარი“ მანქანები

ახლახან გერმანულმა საავტომობილო ფირმა "დაიმლერ-ბენცმა" ახალი საექსტრავაგანტური გადაადგილების საშუალება წარუდგინა პუბლიკას. აქ დამზადებული F-300 წარმოადგენს მოტოციკლეტისა და ავტომანქანის სამბორბლიან ჰიბრიდს. საერთო აღიარებით ეს რევოლუციური კონცეფციაა როგორც დიზაინის, ისე ავტომექანიკის თვალსაზრისით.



## ავტოკალეიდოსკოპი

***

ამერიკული "Gold Wing" მართლაც ზღაპრული მოტოციკლია. 6 ცილინდრიანი ოპოზიტური 1,5 ლ. მოცულობის და 100 ცხენის ძალის სიმძლავრის ძრავა, დაბალი სიმძიმის ცენტრი და განიერი ბორბლები, ყოველგვარი კომფორტი – ოპტიმალური სიჩქარე 130-150 კმ/სთ. (ქალაქგარეთა მაგისტრალებზე) – აი, ეს არის ამ მოტოსაოცრების ძირითადი მახასიათებლები.

***

"VW Bora"-ს სხვადასხვა მოდიფიკაციები სხვადასხვა სიჩქარეს ავითარებს. მანქანის მაქსიმალური სიჩქარეა 193 კმ/სთ. საწვავის მარაგი – 55 ლ.






# კითხვა - თქვენი

**რას წარმოადგენს მუსიკალური ჯილდო „გრემი“. ვის და რისთვის აკუთვნებენ მას?**

**თემურ გოგიჩაიშვილი,**
**ქარელი**

## "Gremmy" ანუ "გრამოფონი"

გრემი (ინგლ. Gremmy – შემოკლ. "გრამოფონი") აშშ ხელოვნებისა და გრამჩაწერის მეცნიერების ეროვნული აკადემიის ყოველწლიური პრიზია, რომელსაც კლასიკური და პოპულარული მუსიკის და აგრეთვე გრამჩაწერის სფეროში მიღწეული წარმატებებისთვის აკუთვნებენ. დაწესებულია 1957 წელს ჰოლივუდში გრამფირფიტების მწარმოებელი ხუთი უდიდესი ამერიკული ფირმის მიერ. ეს ფირმებია: "კოლუმბია", "არ-სი-ეი", "დეკა", "ემ-ჯი ემ", "კეპიტოლ". "გრემი" (მინიატურული ოქროს ქანდაკება ედისონის ძველი გრამოფონის გამოსახულებით) დღეს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და პოპულარული პრიზია მუსიკალურ სამყაროში. 1958 წელს ამ ჯილდოს პირველი ლაურეატები გახდნენ დომენიკო მოდუნიო, ელა ფიტცჯერალდი და კაუნთ ბეისი. 1963 წლიდან "გრემის" 39 კატეგორიაში აკუთვნებენ: "წლის სიმღერა", "წლის ფირფიტა", "საუკეთესო არანჟირება", "საუკეთესო მომღერალი", "საუკეთესო ჯგუფი" და ა.შ. იმათ შორის, ვინც ათჯერ და უფრო მრავალგზისაც დაჯილდოვდა "გრემით", არიან კომპოზიტორი ჰენრი მანჩინი, მომღერლები ელა ფიტცჯერალდი, ფრენკ სინატრა, სტივი უონდერი, ანსამბლი "ბითლზ" და სხვ.

**ვინ არიან სქაუთები? როდის და სად შეიქმნა ეს ორგანიზაცია თუ მოძრაობა?**

**ლევან პეტრიაშვილი,**
**ყვარელი**



სქაუთთა მსოფლიო მოძრაობას (იგი 12 ქვეყნის ეროვნულ ორგანიზაციას აერთიანებს) კოორდინებას უწევს სქაუთთა მსოფლიო ბიურო გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით. ეს აღმზრდელობითი, სკოლისგარეშე მრავალრასობრივი ახალგაზრდული მოძრაობა, გარდა დემოკრატიზმის უმაღლესი პრინციპებისა, პატრიოტიზმის უფაქიზესი იდეალებითაც საზრდოობს. მოძრაობის უმთავრესი ორიენტირებია პასუხისმგებლობა ღმერთისა და რელიგიის წინაშე, სამშობლოს სიყვარული და მსოფლიო ძმობა-მეგობრობა.

ინგლისური სიტყვა "სქაუთი" მზვერავს ნიშნავს. მზვერავობა კი, მოგეხსენებათ, პიროვნების მრავალმხრივ განვითარებას მოითხოვს, ეს ნიშნავს, ნებისმიერ ექსტრემალურ სიტუაციაში იყო საზრიანი, ხელმარჯვე, სწრაფი, ძლიერი, ღონიერი და, რაც მთავარია, საიმედო. ადამიანის ჰარმონიული განვითარების ეს პრინციპებია გამოხატული წიგნში, რომელიც დღემდეც საოცრად პოპულარულია ევროპასა და ამერიკაში. ეს წიგნი – "სქაუთების მოძრაობა ბიჭებისათვის" დაედო საფუძვლად მოძღვრებას, რომელსაც დღეს სქაუთიზმის სახელწოდებით იცნობენ, ხოლო მისი ავტორი ლორდი რობერტ ბადენ პოველი მიჩნეულია სქაუთთა მოძრაობის მამამთავრად.

სქაუთთა დიდი და ძლიერი ძმობა დაიბადა ინგლისში და უთუოდ მასში ჩადებულმა ჰუმანისტურმა მისწრაფებებმაც განაპირობა, რომ იგი მეტად სწრაფად მოედო მთელს ევროპასა და აზიას, აფრიკას, ავსტრალიას, ლათინურ ამერიკას და თავის რიგებში 6-დან 25 წლამდე 16 მილიონამდე მოზარდი და ახალგაზრდა გააერთიანა.

სქაუთთა მოძრაობის ერთ-ერთი ძლიერი ეროვნული კერაა ამერიკის შეერთებულ შტატებში, იგი 3 მილიონამდე ყმაწვილს აერთიანებს. საგულისხმოა, რომ ცალ-ცალკე არსებობს ბიჭ-სქაუთთა და გოგონა-სქაუთთა მსოფლიო ორგანიზაციები.

**ვინ არიან პანკები? როგორ გამოიყურებიან ისინი?**

**თამთა კოზაქიძე,**
**ქ. თბილისი**

სურათს რომ დახედავთ, დაახლოებით მაინც მიხვდებით, ვინც არიან



პანკები. ამ ახალგაზრდებს მიაჩნიათ, რომ გარეგნული ეფექტები – ექსტრავაგანტური იერი, საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმების სრული უგულებელყოფა ამ საზოგადოების წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. უამრავი ლითონის სამკაული, საყურეები, დიდი ხნის გაურეცხავი, გაპოხილი ჯინსი, გაფხოკილი თმის ვიწრო ზოლის ბიბილო შუბლიდან კეფამდე – ასე გამოიყურებიან პანკები.

# პასუხი - ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცილის გაკვეთილი

***

მათემატიკის მასწავლებელი მიმართავს კლასს:

– ახლა კი მე პითაგორას თეორემას დაგიმტკიცებთ.

– არ გვინდა, რა მასწ! ისედაც გვჯერა თქვენი.

***

ზოოპარკში:

– ზაზა, ახლავე მოსცილდი ლომის გალიას!

– ნუ გეშინია, დედიკო, მე ლომს არაფერს დავუშავებ.

***

უფროსკლასელი ნოლჯგუფელს ეკითხება:

– რატომა ხარ სველი?

– მე და აჩიკო დასვენებაზე ძაღლობანას ვთამაშობდით.

– მერე რა?

– მე ხე ვიყავი.

***

"ახალი რუსების" შვილები თავს იწონებენ:

– გეოგრაფიაში მიღებული ხუთიანისთვის მამაჩემმა კანარის კუნძულებზე ვილა მაჩუქა.

– დიდი ამბავი, ჩემებმა იმდენი გადაიხადეს ჩემი ფიზიკის საკონტროლოში, რომ ნაწერი ნობელის პრემიაზეა წარდგენილი!

***

– რა არის, რა საშინლად იცვამს თანამედროვე ახალგაზრდობა! აი, თუნდაც ეს ბიჭი.

– ეს ჩემი ქალიშვილი გახლავთ.

– მაპატიეთ, არ ვიცოდი, თუ



თქვენ მისი მამა იყავით.

– მე მისი მამა კი არა, დედა ვარ!

***

დილით პიერი სკოლაში წასასვლელად ემზადება. წიგნები გაყრილი აქვს, ჩანთა ჩასალაგებელი. ყველაფერი ეზარება, ბუზღუნებს:

– დედა, იცოდე, იმ სკოლაში აღარ წავალ. იქ ბოროტი მასწავლებლები არიან, ბავშვებიც სულ ჩხუბობენ.

– რას იზამ, შვილო, მაინც უნდა იარო სკოლაში, ისე როგორ იქნება. ნუ ბუზღუნებ, ჩანთა ჩაილაგე და წადი.

– არა, არ შემიძლია, არ მინდა!

– პიერ, უნდა წახვიდე! ჯერ ერთი, ექვსი წლის აღარა ხარ, მეორეც, რაც არ უნდა იყოს, სკოლის დირექტორი ხარ!

***

მასწავლებელმა ვოვა სიგარეტის წევისას "ჩაავლო" და მეორე დღისთვის მამა დაუბარა.

– ბატონო ჩემო, იცით, თქვენი ბიჭი სკოლაში "ასტრას" ეწეოდა.

მამა აღშფოთდა:

– რა ჯანდაბად გინდა ეს "ასტრა"? ჩემი ხელით არ ჩაგიდე "მალბორო" ჩანთაში?!

***

ოტო ატირებული ბრუნდება სკოლიდან:

– დედა, ერთმა უფროსკლასელმა მცემა.

– მოდი, მოგეფერო, შვილო! თავხედი, როგორ გაბედა! რამე რომ იყოს, იცნობ?

– ახლა იმას ყველაც იცნობს, მისი ცალი ყური აქა მაქვს, ჯიბეში.

***

ვასია ინტერნატში მიაბარეს. გამოხდა ხანი და მშობლებმა სანახავად მიაკითხეს. პირველ სართულზე წარწერაა: "კარგი ბავშვები". მშობლები ეკითხებიან აღმზრდელს:

– ჩვენი ვასია აქ არის?

– არა, ზედა სართულზე.

ადიან მეორე სართულზე. კარზე აწერია: "ცუდი ბავშვები".

– ალბათ აქ არის?

– არა, უფრო ზემოთ.

მესამე სართულზე წარწერაა: "ძალიან ცუდი ბავშვები".

დარწმუნებული მშობლები მიმართავენ აღმზრდელს:

– ნამდვილად აქ იქნება ჩვენი შვილი.

– არა, უფრო ზემოთ.

ადიან მეოთხე სართულზე, იქ წარწერაა: "ვასია".

# ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ბაზა



ლას ვეგასიდან დაახლოებით 190 კილომეტრის მანძილზე, ჩრდილო-დასავლეთით, ნევადას უდაბნოში, ერთი უცნაური ადგილია, რომელიც აშშ-ს არც ერთ ოფიციალურ გეოგრაფიულ რუკაზე არ არის აღნიშნული. სიზუსტის მოყვარულ გულმოდგინე კარტოგრაფებს არ დაუფიქსირებიათ არც ერთი აქ მდებარე ობიექტი – არც მაღლივი სახლები და არც 9,5 კილომეტრის სიგრძის ასაფრენი ბილიკი. გეგონებათ, შვეიცარიის ტოლი ეს ტერიტორია საერთოდ არ არსებობდეს ბუნებაში. აქ არავის შეესვლება. ტერიტორიაზე შეღწევას გიგანტური პანოების გამაფრთხილებელი წარწერები კრძალავს. ყველას, ვინც მათ უგულებელყოფას შეეცდება, შეიარაღებული დახვედრა ელის.

ეს სამხედროთა ზეგასაიდუმლოებული სამყოფელი, ნევადის ბირთვული ცენტრი – გრუმ-ლეიკის ბაზაა, რომელიც უფრო "ზონა-51-ის" სახელით არის ცნობილი. ეს მსოფლიოში ყველაზე დიდი გამოსაცდელი პოლიგონია (ფართ. 16 000 კვ. კმ). როგორც ამბობენ, აქ ტარდებოდა მიწისქვეშა ბირთვული გამოცდები, სამხედროების წვრთნა იარაღის ახალი სისტემების ათვისებაში.

"ზონა-51" 1954 წელს გაიხსნა აეროკორპორაცია "Lockheed Aircraft Corporation"-თვის, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და პენტაგონის კონტროლქვეშ ჯაშუშ-თვითმფრინავებს ქმნიდა. ყველა მიღებული მოდელი ამ ბაზაზე გადიოდა გამოცდას. ბაზის საქმიანობა მხოლოდ 1989 წელს გამჟღავნდა, როცა ერთ-ერთმა მისმა ყოფილმა თანამშრომელმა, ფიზიკოსმა, ბუნებისმეტყველმა, გე-



ნიალურმა გამომგონებელმა რობერტ ლაზარმა იშვიათი სიმამაცის ნაბიჯი გადადგა. მან პირდაპირ ტელეეთერში განაცხადა: "ზონა-51"-ში მიმდინარეობს მუშაობა ავარიაგანცდილ და "ტყვედ" ჩაგდებულ ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე, შეისწავლება შენადნობები, რომლებისგანაც ისინია დამზადებული. ამ გამოკვლევათა მიზანია ანალოგიური ძრავების შექმნა. ბაზაზე 9 ამოუცნობი მფრინავი ობიექტი ინახება. ამ ობიექტებით რეგულარულად ხორციელდება ფრენები. მე პირადად ვიყავი ამ ობიექტის მცირე სიმაღლესა და მოკლე მანძილზე საცდელი ფრენების მოწმე, – განაგრძობს მეცნიერი, – მე 30 მეტრის მანძილზე ვიდექი ამ ჯადოსნური კოსმიური ხომალდისგან, როცა ის ჰაერში ლივლივებდა, და თავი იმაში დავიჭირე, რომ ამ პროზაულ ფაქტს უმაღლეს ჯადოსნობას მივაწერდი. ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ტექნიკური პარამეტრების დასადგენად შეიქმნა პროექტი, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი. ჩვენმა ჯგუფმა დაშალა ხომალდის ცალკეული ნაწილები. ვაფასებდით თითოეული მათგანის როლს მთლიან მექანიზმში. ზოგადად ჩვენთვის, სპეციალისტებისთვის, გასაგები იყო მათი მოქმედების პრინციპი, მათთვის კვალიფიკაციური შეფასების მიცემა კი არ ძალგვიძდა. დისკოებს ერთიანი და გლუვი კონსტრუქცია ჰქონდა – ჭანჭიკების, ნაკერებისა და მოქლონების გარეშე. თითოეულ საგანს – ხელსაწყოს, სკამებს, მომრგვალებული, დახრილი მოყვანილობა ჰქონდა, დისკო ერთიან სხმულად გამოიყურებოდა. საოცრად მტკიცე მასალა, რომლისგანაც ის არის დამზადებული, შესაძლოა, ადრე ცვილივით მოქნილი იყო. ცხელი ცვილისგან გამოიძერწა, მერე კი გაცივდა"...

როდესაც ლაზარს ჰკითხეს, რატომ მალავდნენ ამდენ ხანს და ასე საგულდაგულოდ ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მეცნიერული შესწავლის ფაქტს, მეცნიერმა ამოიოხრა და უპასუხა: "საზოგადოებრიობას ამ

ამბავს უმალავენ, იმიტომ, რომ სხვაგვარად დაემხობოდა საზოგადოების ყველა ცხოვრებისეული საყრდენი. მათ შორის რელიგიაც. ხომალდების დეტალებს რომ ვსწავლობდით, ჩვენ სულ იმას ვეკითხებოდით საკუთარ თავს, თუ როგორ შეიძლება ამის გამოყენება, რისგან შედგება ეს? მაგრამ ღირებულ პასუხებს ვერასდროს ვღებულობდით. მასალები და ელემენტები, რომლებისგანაც ისინია შექმნილი, არც პერიოდულ სისტემაშია მითითებული, და არც დედამიწაზე არსებობს ისე უბრალოდ. კორპუსის ლითონის სხეული "უსულო" ჩანდა, მაგრამ ჰაერში, გამოსაცდელი ფრენის დროს, ანაზდად ნათებას იწყებდა და "ცოცხლდებოდა".

ერთხელ, როცა ლაზარი დაშლილ ამოუცნობ მფრინავ ობიექტთან მარტო დარჩენილა, იგი ამ "ხელთუქმნელი" ქმნილების იდუმალების შეუცნობადობის უცნაურ და საშინელ გრძნობას შეუპყრია.

შენადნობი, რომლისგანაც ხომალდი იყო დამზადებული, თხელი, თითქმის გამჭვირვალე, მაგრამ ძალზე მტკიცე იყო და არავითარ ტრანსფორმაციას არ ექვემდებარებოდა მაშინაც კი, როცა მეცნიერს მისი გახეხვა ან ეროთი გატეხვა უცდია. ლაზარი ხელით შეხებია კორპუსს და დაუნახავს, რომ ანაზდად კორპუსს ოდნავ უცვლია ფერი. მასალა შეხებით ქალის კანივით ნაზი ყოფილა. როცა ფიზიკოსი მის ზედაპირს ეხებოდა, ოდნავ მოსახელთებელ ტალღებს გრძნობდა, თითქოს მფრინავი ობიექტის სხეული შეხებაზე რეაგირებდაო... ლაზარს ეჩვენებოდა, რომ ხომალდი სითბურ იმპულსებს გამოსცემდა, თითქოს იგი მექანიკურ კარკასში გამომწყვდეული რაღაც ორგანული არსება იყო.











მეცნიერმა შოკი განიცადა. მას მოეჩვენა, რომ წამით არა ჩვენს ხასიყაროსეულ "რაღაცასთან" შევიდა კონტაქტში. კონტაქტში, რომლისთვისაც არც სულიერად იყო მზად და არც პროფესიულად.

1995 წლის 29 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის შესაბამისად სამხედრო ძალებმა კვლავაც საიდუმლოდ უნდა შეინახონ "ზონა-51"-თან დაკავშირებული ყველა მონაცემი...

ჯერჯერობით კი ზონის სიახლოვეს მდებარე მშვენიერ პატარა ქალაქ რეიჩელში ლამის ყველაფერი უცხოპლანეტელთა ფენომენზეა აგებული. ქალაქის შესასვლელს ამშვენებს სარეკლამო ფარი: "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, დედამიწელებო!" 1996 წლიდან ადგილობრივ გზატკეცილს ოფიციალურად ეწოდა უცხოპლანეტელთა გზატკეცილი, ხოლო მის გასწვრივ განლაგებული ყველა მაჩვენებელი კუთხით არის დახრილი, რათა ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ეკიპაჟის წევრებმა ადვილად წაიკითხონ ისინი ზეციდან.

ქალაქის ყველა ბარში, ყველა ავტოგასამართ სადგურსა და ტრეილერების კედლებზე გაკრულია პლაკატები უცხოპლანეტელთა გამოსახულებით. სუპერმარკეტების გამყიდველებს, ოფიციანტებსა და ბარმენებს მრგვალთავიანი, თვალებგადმოკარკლული, მწვანეკანიანი არსებების ნიღბები უკეთიათ. ქალაქში არსებული აბრებიც ასეთივე ხასიათისაა, მაგალითად: "უნივერსალური პარკინგი: მარცხნივ – დედამიწელები, მარჯვნივ – უცხოპლანეტელები"...

# ტესტი „ჭკუის კოლოფებისათვის“

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მეფე, პოეტი, არჩილ II (1647-1713) განისვენებს...

ა) ... მოსკოვში, დონის მონასტერში

ბ) ... ასტრახანში

გ) ... მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში



2. დიდი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე, რომლის დაბადების 100 წლისთავი წელს აღინიშნება, დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ...

ა) ... ბადიაურში

ბ) ... პატარძეულში

გ) ... კაკაბეთში



3. საფრანგეთის რევოლუციის (1789-94) სიმბოლურ ფიგურას ჰქვია...

ა) ... მარიანა

ბ) ... ლუიზა

გ) ... მარგარიტა

4. თამარ მეფის დღემდე შემორჩენილი ოთხი ფრესკული გამოსახულებიდან ერთი ბეთანიაშია, მეორე — დავით გარეჯში, მესამე — ვარძიაში, მეოთხე კი...

ა) ... სამთავისში

ბ) ... ალავერდში

გ) ... ყინწვისში

5. ამ სახელმწიფოს დედაქალაქია...

ა) ... ადელაიდა

ბ) ... კანბერა

გ) ... ოტავა



6. ნაპოლეონ ბონაპარტე დაიბადა კუნძულ...

ა) ... სარდინიაზე

ბ) ... კორსიკაზე

გ) ... სუმატრაზე



7. პანდა, რომელსაც ბამბუკის დათვსაც ეძახიან, სინამდვილეში განეკუთვნება...



ა) ... კატისებრთა ოჯახს

ბ) ... კვერნისებრთა ოჯახს

გ) ... ენოტისებრთა ოჯახს

8. ეს ჯგუფია...

ა) ... All Saints

ბ) ... Spice Girls

გ) ... The Tuesdays



# იწილოთ–მიწილოთ

არსებობს უძველესი თამაში, რომელსაც, ალბათ ბევრი თქვენგანი არ იცნობს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ შეზღუდული რაოდენობის, ვთქვათ, 22, სწორი ხაზის გამოყენებით რაღაცის დახატვა შეძლოთ. გთავაზობთ ასე შექმნილ რამდენიმე ნახატს, სცადეთ, იქნებ თქვენ უფრო მდიდარი ფანტაზია აღმოაჩნდეთ.





## თუ მიხვდებით?

აბა, თუ მიხვდებით, რა არის გამოხატული ამ სურათზე? ვერ მიხვდით? მაშინ აიღეთ ფერადი ფანქრები და ნახატი გააფერადეთ: კვადრატით მონიშნული ნაწილები ცისფრად გააფერადეთ, ჯვრით მონიშნული – ნაცრისფრად, სამკუთხედით მონიშნული – ლურჯად, წერტილით მონიშნული – ყავისფრად, ვერტიკალური ხაზით მონიშნული – შავად, თოლიათი მონიშნული – ყვითლად (მზეც ყვითლად), ორი ჰორიზონტალური ხაზით მონიშნული – წითლად; მოუნიშნავი ნაწილები თეთრად დატოვეთ. თუ ზუსტად გააფერადებთ, ძალიან ლამაზ სურათს მიიღებთ.

ვინ დააფრთხო ეს სასაცილო ზღვაოსანი? თანმიმდევრობით შეაერთე ციფრები და მიხვდები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს ყველა ვარსკვლავი



## ძმები ჰენსონები

ტელეეკრანზე ტრიო "Hanson"-ის გამოჩენა და მთელ მსოფლიოში ათასობით თაყვანისმცემელი ქალიშვილის აღტაცებული შეკივლება ერთია. სამი ძმიდან ყველაზე პოპულარული მაინც შუათანა, ტეილორია. მიუხედავად იმისა, რომ ტეი 15 წლისაა, რამდენიმე გოგონამ უკვე გამოუცხადა, მზად ვარ დღესვე გამოგყვე ცოლადო. მაგრამ შუათანა ჰენსონი ჯერ არ აპირებს დაოჯახებას, ფანატიკოსი გოგონების და საერთოდ, თაყვანისმცემლების გადამეტებული ემოციები კი ნერვებს უშლის.

ტეილი (ასე მას ნათესავ-მეგობრები ეძახიან) 14 მარტს არის დაბადებული. მაშასადამე, მისი ზოდიაქოს ნიშანი თევზებია, აქედან გამომდინარე, მას ყველაზე მეტად თევზი უყვარს, თუმცა ლიმონის წვენში ჩადებულ შემწვარ წიწილაზე, ჩიზბურგერებსა და კაკაოს კრემიან ფენოვან ნამცხვარზეც მისდის ხოლმე ნერწყვი.

კონცერტებისა და რეპეტიციებისგან თავისუფალ დროს ხატვა და ლექსების წერა უყვარს. სხვათაშორის, "Middle of Nowhere"-ის პირველი კომპაქტ-დისკის თანმხლები ფურცელი ტეილორმა და ზაკმა გააფორმეს. ტეილს მულტფილმების ხატვაც იტაცებს, ხოლო ფეხბურთს ისე თავდავიწყებით თამაშობს და "როლიკებზეც" ისეთი სისწრაფით დაქრის, რომ ფეხიც სერიოზულად აქვს დაშავებული და ზურგიც. ერთხელ კი კისრისტეხით დაეშვა მთიდან ველოსიპედით და თავისივე მშობლების მანქანას შეასკდა. მაშინ ხელის მოტეხვით გადარჩა. ისე, ერთი ნაიარევი სახეზეც აქვს, იმიტომ იფარავს ხოლმე მარცხენა ლოყას გრძელი თმით. ეს ყველაფერი წარსულში იყო. ახლა საშუალო ჰენსონი საგრძნობლად არის დადინჯებული, კაცმა რომ თქვას, ცელქობისთვის დროც აღარ რჩება.





ზაკი და აიზეკი ნახევრად ხუმრობით ამბობენ, ჩვენს ძმას "ფრიადოსნის" კომპლექსი სჭირს და მომავალში დიდი სახელის მოხვეჭას აპირებს და თუ ცნობილი მომღერალი არ გახდება, მსახიობობას, არქიტექტორობას ან ინტერიერების დიზაინერობას აირჩევს.

ათასნაირი ძეწკვების, კულონების, სამაჯურების თუ საყურეების ტარება დიდი ხანია მარტო გოგონების მოდა აღარ არის, ჰოდა ტეილორსაც სამკაულების მთელი კოლექცია უმშვენებს კისერსა თუ მკერდს – ჯვარი (ტეი და მისი ძმები ქრისტიანები არიან), დავითის ებრაული ვარსკვლავის, ფეხბურთის ბურთისა და ყვავილის გამოსახულებები. ტეილორ ჰენსონზე ფანატიკურად შეყვარებულმა თინეიჯერებმა ისიც კი ზეპირად იციან, რომ ის ოდეკოლონ "კალვინ კლაინს" ხმარობს, კბილებს Colgate-ის ცისფერი პასტით იხეხავს, თმას კი შამპუნ "Herbal Essences"-ით იბანს. რაც შეეხება ტანსაცმლის ფერს და საერთოდ ფერს, ტეის წითელი მოსწონს: "წითელი ყველაფერს ალამაზებს, წითელი კამფეტები კი ყველაზე გემრიელია!" შუათანა ჰენსონს უყვარს No Doubt-ის, Spin Doctors-ის, ალანის მორისეტის მუსიკა და 50-60-იანი წლების სიმღერები. სკოლაში საყვარელი საგანია ინგლისური, საყვარელი ცხოველი კი დელფინი.

ტრიო "Hanson"-ს ორი ალბომი აქვს გამოშვებული, ამჟამად კი ძმები მესამე ალბომზე მუშაობენ.

